ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,

ეკონომიკის მიმართულების მაგისტრანტი

ანა ტერ-სარქისიანი

სამაგისტრო ნაშრომი

„რუსეთის როლი თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში“

მეცნიერ-ხელმძღვანელი : შოთა ვეშაპიძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია რუსეთის ეკონომიკა როგორც რეგიონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ნაშრომი შედგება ორი ძირითადი თავისაგან:

- რუსეთის მონაწილეობა გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში;
- რუსეთ-საქართველოს თანამედროვე სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები

პირველ თავში განხილულია რუსეთის გლობალურ პროცესებში მონაწილეობის როლის აქტუალობა - რუსეთის ადგილი ეკონომიკურ სისტემებში, რუსეთის დღევანდელი სტატუსი მსოფლიო საზოგადოებაში, მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები, სხვა ეროვნულ ეკონომიკებთან ურთიერთობისას საგარეო ურთიერთობების ძლიერი და სუსტი მხარეები და როგორ ჩანს მისი მომავალი მსოფლიო კონტექსტის თვალმისაწვდომ პერსპექტივაში.

შედარების გაკეთების საშუალებისათვის განხილულია რუსეთის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. შედარებულია სავაჭრო ურთიერთობა აშშ-სთან და ჩინეთთან. განხილულია მათი ურთიერთობის ცვალებადობა წლების განმავლობაში და მოსალოდნელი პერსპექტივები.

მეორე თავში საუბარი მიდის არანაკლებ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხზე, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ჩვენს ქვეყანასთან. კერძოდ, ეს არის რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები. ამ თავში განხილულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარების ეტაპები, უახლესი ცვლილებების გათვალისწინებით.

Annotation

The thesis considers Russian economy on a regional, as well as on an international basis.

Thesis consists of two main chapters:

- Russian participation in global economic processes
- Russian-Georgian modern trade and economic relations

In first chapter is reviewed the relevance of participation of Russia's role in global processes – Russia's place in economic systems, its today's status in world's society, main directions of its development, strengths and weaknesses of international affairs during the relations with other national economics, how seems its future in the world's context perspectives.

For comparison is discussed Russia's macroeconomic indicators. There are compared trade relations with the USA and China. Expected opportunities and volatility of their relations during the years are considered.

The second chapter is about not less important and relevant subject, which is directly connected to our country. Particularly, this is about Russian-Georgian trade economic relations, developing steps of which are considered, taking into account the up-to-date amendments.

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation 3

შესავალი 5

1. რუსეთის მონაწილეობა გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში 7

1.1 რუსული ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი 8

1.2 რუსეთის საგარეო სავაჭრო ურთიერთობები 20

1.3 უცხოური ინვესტიციები რუსეთში 36

1.4 რუსეთის ადგილი საერთაშორისო რეიტინგებში 45

2. რუსეთ-საქართველოს თანამედროვე სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები 50

2.1. რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ 50

2.2. რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თანამედროვე გამოწვევები 65

2.3. რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები და საფრთხეები 72

დასკვნა 81

გამოყენებული ლიტერატურა 89

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა

სამაგისტრო ნაშრომის თემად იქნა არჩეული რუსეთის ეკონომიკის განხილვა როგორც რეგიონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ძირითად დღევანდელ პრობლემებს შორის, რომლებიც მსოფლიოს აწუხებს ერთ-ერთია - ეკონომიკურ სისტემებში რუსეთის ადგილი, რუსეთის დღევანდელი სტატუსი მსოფლიო საზოგადოებაში, მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები, სხვა ეროვნულ ეკონომიკებთან ურთიერთობისას საგარეო ურთიერთობების ძლიერი და სუსტი მხარეები და როგორ ჩანს მისი მომავალი მსოფლიო კონტექსტის თვალმისაწვდომ პერსპექტივაში.

რუსეთი შედის მსხვილ ეკონომიკებს შორის პირველ ათეულში. 2018 წლის მონაცემებით იგი იკავებს მე-6 ადგილს მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით და მე-9 ადგილს - მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით.

რუსეთი ფლობს ბუნებრივი რესურსების დიდ მარაგს. იგი იკავებს მსოფლიოში მე-3 ადგილს (ინდოეთისა და აშშ-ს შემდეგ) სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ფართობის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ფლობს მაღალ პოტენციალს, ბუნებრივი რესურსებისა და ადამიანური კაპიტალის თვალსაზრისით, რუსეთი ასე თუ ისე შესამჩნევად ჩამორჩება მოსახლეობის ცხოვრების დონის მიხედვით.

რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული განვითარების საკითხის შეხებისას, აღსანიშნავია, რომ რუსული მეცნიერების მიერ დამუშავებულია გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიის რიგი ვარიანტი 2015 წლამდე პერიოდისათვის და შემდგომ 2025 წლის პერიოდამდე. სტრატეგია გამოყოფს რეალიზაციის სამ ძირითად ეტაპს:

1. პირველ ეტაპზე (2006-2010 წწ) ძირითადი და ადამიანური კაპიტალის კრიზისის შედეგების დაძლევის შესაძლებლობა განიხილებოდა. ამასთან, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზე სახელმწიფოს გავლენის დონე ჯერ კიდევ მაღალი იყო.

2. მეორე ეტაპს (2011-2015 წწ) მიეკუთვნება მოდერნიზაციის დასრულება და ინოვაციების საფუძველზე მანქანათმშენებლობის კომპლექსის პრინციპული განახლება; მსოფლიო ბაზარზე რუსული საინვესტიციო სფეროს პროდუქციის ექსპანსია; ექსპორტში ტრადიციული საქონლის წილის შემცირება, ინოვაციური პროდუქტების ხარჯზე. ამ ეტაპზე სახელმწიფოს როლი დაიყვანება საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობების სფეროში სტრატეგიულ კორექტივებამდე.

3. მესამე ეტაპი (2016-2025 წწ) წარმოადგენს რუსული ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ნამდვილ ლიბერალიზაციას. ამასთან , სახელმწიფოს როლი შემოიფარგლება მხოლოდ საბაზრო ეკონომიკით.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი ორ თემადაა დაყოფილი. პირველში განხილულია რუსეთის მონაწილეობა გლობალურ ეკონომკურ პროცესებში. ამისთვის აუცილებელია პირველ რიგში ქვეყნის მდგომარეობის შესწავლა და მისი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განხილვა. კერძოდ, ქვეყნის მშპ, ინვესტიციები, ექსპორტ-იმპორტი და სავაჭრო ბრუნვა. ამ მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია გარკვეულ დონეზე რუსეთის გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში აქტუალურობის შეფასება.

გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციისას არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს რუსეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განხილვა.

ერთ-ერთი შეფასების აუცილებელი პარამეტრია - რუსეთის ადგილი მსოფლიო რეიტინგებში.

მეორე თემა მიძღვნილია რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებს, სადაც განხილვის მიზნად მიჩნეულია ორივე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესები და ეტაპები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან დღემდე. მთავარი მიზანია, იმის განხილვა, თუ რა გზებითაა შესაძლებელი რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესება და მდგრადობის ამაღლება. ნაშრომში განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც უწყობს და ამავდროულად ამ განვითარებას ხელს უშლის.

ამოცანები

- მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გამოთვლა
- საგარეო ვაჭრობის განხილვა აშშ-სა და ჩინეთის მაგალითზე
- ქვეყნის პოზიციის გარკვევა მსოფლიო რეიტინგებში
- რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების განხილვა და მისი გაუმჯობესების გზების პოვნა

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები და მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც ზოგადი, ისე სტატისტიკური მეთოდები. კერძოდ, ანალიზი, სინთეზი, დაჯგუფება, დიაგრამები და ა.შ. გარკვეული როლი საკითხის შესწავლაში შეასრულა დაკვირვების მეთოდის გამოყენებამ. მუშაობის პროცესში გამოყენებული იქნება მრავალრიცხოვანი ნაშრომები რუსეთის ეკონომიკის განვითარების შესახებ. ასევე გამოყენებული იქნება ქართველი ეკონომისტების მოსაზრებები საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების ასპექტში.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა

ნაშრომში პრობლემების განხილვისთვის შესწავლილია როგორც რუსეთის, ასევე საერთაშორისო და ქართველი ექსპერტებისა და ეკონომიკისტების ნაშრომები, კვლევები და მოსაზრებები.

აღსანიშნავია , რომ რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების კვლევას ბოლო ხანს არც თუ დიდი რაოდენობის ნაშრომები ეძღვნება. განსაკუთრებით მწირია ქართულ ენაზე გამოქვეყნებული მასალები. საქართველოსთვის ამ კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

1. რუსეთის მონაწილეობა გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში

1.1 რუსული ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

2018 წლის შედეგების მიხედვით, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკამ 2012 წელთან შედარებით რეკორდულ ზრდას მიაღწია. ქვეყნის მშპ გაიზარდა 2.3%-ით 2017 წელთან შედარებით (1.6%). [1]ეკონომიკის სწრაფი ზრდის მთავარი ფაქტორია საგარეო ეკონომიკური ოპერაციების გაუმჯობესება. ეკონომიკურ ზრდაში დადებითი წვლილი შენარჩუნდა სამომხმარებლო და საინვესტიციო აქტივობის მხრიდან. 2019 წელს განვითარების ევრაზიული ბანკის პროგნოზის მიხედვით, რუსეთის ფედერაციის მშპ-ის ნაზრდის ტემპი დროებით შენელდება. შემაკავებელ ზეგავლენას მოახდენს საგადასახადო ტვირთის გაზრდა, ასევე განაკვეთის გაზრდის ეფექტი 2018 წლის ბოლოს. ბიუჯეტის საინვესტიციო დანახარჯის გაზრდა და მონეტარული პოლიტიკის თანდათანობითი ნორმალიზაცია 2019 წლის მეორე ნახევრიდან, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის ტემპის აღდგენას პოტენციურ დონემდე, ბანკის შეფასების მიხედვით დაახლოებით 2%-მდე წელიწადში. 2018 წელს რუსული რუბლის კურსის რხევა გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე გაიზარდა. აშშ-ის მხრიდან სანქციური რიტორიკის გამკაცრებამ რუსული ეკონომიკიდან კაპიტალის გადინების გაზრდამდე მიიყვანა, რაც აისახა რუსული რუბლის ტემპის დასუსტებაში. დამატებითი შოკების არარსებობის პირობებში, 2019 წელს, 2018 წლის ბოლო დონესთან შედარებით, ევრაზიული ბანკი რუსული ვალუტის საშუალო გამყარებას ელოდება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რუსული აქტივების მაღალი შემოსავლების შენარჩუნებას. 2018 წელს ინფლაცია აჩქარდა რუბლის დასუსტების, ცალკეული სასურსათო საქონლის ფასების ზრდისა და წლის ბოლოს დღგ-ის განაკვეთის გაზრდის მოლოდინის ფონზე ფასების კორექტირების გავლენის ქვეშ. 2018 წლის მეორე ნახევარში ინფლაციის გაზრდა, რომელიც ინფლაციის ზრდის მოლოდინებს თან ახლდა, განაპირობა რუსეთის ფედერაციის ცენტრობანკის მთავარი განაკვეთის გაორმაგება სექტემბერსა და დეკემბერში 0.25 პ.პ. (პროცენტული პუნქტი) 7.75%-მდე 2018 წლის ბოლოსთვის. ევრაზიული ბანკის შეფასების მიხედვით, ინფლაცია განაგრძობს აჩქარებას 2019 წლის პირველ ნახევარში, უპირატესად დღგ-ის გაზრდის გავლენის ქვეშ. 2019 წლის მეორე

[1] https://eabr.org/analytics/ceg-quarterly-reviews/aprel-2019-aprel-2019-rossiyskaya-federatsiya-sostoyanie-ekonomiki-i-prognoz/

ნახევრიდან ინფლაციური წნეხი თანდათან შემცირდება, რაც განაპირობებს ინფლაციის დაბრუნებას მიზნობრივ დონემდე 2020 წლისათვის. ინფლაციის შენელებასთან ერთად მიზანშეწონილია მთავარი განაკვეთის შემცირებაც ნეიტრალურ დონემდე 2020 წელს, შეფასებული 6.5-7%. 2018 წელს ფედერალური ბიუჯეტი 2011 წლიდან პირველად იყო შესრულებული პროფიციტით, რაც იყო განპირობებული ნედლეულის ბაზრების ხელსაყრელი კონიუნქტურით 2018 წლის მანძილზე. საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია ბიუჯეტის ფორმირება პროფიციტით, ნავთობზე ფასების შენარჩუნების ფონზე, 1 ბარელზე 60$-ზე მეტი დონით. საბიუჯეტო პოლიტიკის მიმართულება უახლოეს წლებში იქნება თანდათან რეორიენტირებული საინვესტიციო ხარჯების წილის გაზრდის მხარეს, რამაც თავის მხრივ შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკური ზრდის პოტენციური ტემპების გაზრდაზე.

რუსეთის ფედერაციის მთლიანი შიდა პროდუქტი

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) - მაკროეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია.

იგი ასახავს ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას, რომელიც იწარმოება ქვეყნის ტერიტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ დროის მოცემულ პერიოდში. მშპ შეიძლება გამოიხატოს ეროვნული ვალუტით და, თუ საჭიროა გადაანგარიშდება გაცვლითი კურსის მიხედვით უცხოურ ვალუტაში და შეიძლება წარმოდგენილი იყოს მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით (PPP) (უფრო ზუსტი საერთაშორისო შედარებებისათვის).

რუსეთის მშპ წლების მიხედვით, 1998-2019 1კვ (ამჟამინდელი ფასებით , როსსტატის მონაცემები) :



2



[2] http://www.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_main/rosstat/ru/statistics/efficiency/#

რუსეთის მშპ-ის სტრუქტურა შეიცავს ყველა ეკონომიკურ და ძირითად სოციალურ დარგს, შემოსავლის წყაროებს და ასევე ქვეყნის ყველა რეგიონის მშპ-ს.

მშპ დარგების მიხედვით:

- სოფლის მეურნეობა
- ბუნებრივი რესურსების მოპოვება - სასარგებლო წიაღისეული
- გადამამუშავებელი სამრეწველო წარმოება
- ენერგეტიკული მრეწველობა
- სამშენებლო სფერო
- სავაჭრო სფერო
- სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სფერო
- სასტუმრო-სარესტორნო ბიზნესი
- საფინანსო მოღვაწეობის სფერო
- ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა დარგების სფეროები

შემოსავლების წყაროების მიხედვით მიღებულია მშპ-ის შემდეგი სტრუქტურული ელემენტების განხილვა:

- დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურება
- წმინდა საგადასახადო მოგება მრეწველობისა და იმპორტისგან
- მთლიანი ეკონომიკური მოგება და შერეული მთლიანი შემოსავლები

მშპ დამოკიდებულია ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებს, ფორმირების ხარისხისა და შიდა ბაზრის განვითარების მიხედვით.

რუსეთის ექსპორტი და იმპორტი - 2019. მოცულობა, სტრუქტურა, საქონელი.

საკმარისია ერთხელ შევხედოთ რუსეთის ექსპორტის სტრუქტურას, რომ დავინახოთ ეკონომიკის სერიოზული დამოკიდებულება ენერგორესურსების საზღვარგარეთ მიწოდებაზე. გავაანალიზე ფედერალური საბაჟო სამსახურისა და როსსტატის

მონაცემები, რომ გამეგო გაზისა და ნავთობის ექსპორტის მოცულობა რუსეთიდან, ასევე რომ გამეგო ექსპორტის დინამიკა 2000-2019 წლებში და გამერკვია რომელი საქონლის იმპორტი არის მნიშვნელოვანი რუსეთისთვის.

რამდენადაც არ უნდა იყოს ხელისუფლება მიზანმიმართული იმაზე, რომ ეკონომიკა მოხსნან ნედლეულზე დამოკიდებულებისგან, სტატისტიკა ჯერ-ჯერობით გვიჩვენებს, რომ ამ მიზნის წარმატებით განხორციელებამდე შორია. მაგალითად, რუსეთის ექსპორტის სტრუქტურა აჩვენებს, რომ მათი საზღვარგარეთ მიწოდების 60%-ზე მეტი დაკავშირებულია სათბობ-ენერგეტიკულ საქონელთან. ეს უზარმაზარი ციფრებია. შედარებისთვის, ისეთ მაღალტექნოლოგიური ექსპორტის წილზე, როგორც მანქანა-დანადგარები მოდის საზღვარგარეთ მთელი მიწოდების მხოლოდ 6.5% .

რუსეთის ექსპორტის სტრუქტურა 2018 წელს[3] :

ექსპორტის სტატია	ექსპორტის სტრუქტურის ხვედრითი წილი
სათბობ-ენერგეტიკული საქონელი	63,7%
ლითონი და მისი ნაწარმი	9,9%
იმპრომის პროდუქცია	6,1%
მანქანა-დანადგარები	6,5%
სასურსათო საქონელი და ნედლეული მისი წარმოებისათვის	5,5%
ხე-ტყე და ქაღალდის ნაწარმი	3,1%
სხვა საქონელი	5,2%

[3] https://www.kubdeneg.ru/eksport-import-rf-2019-obemy-struktura-tovary/

ახლა განვიხილოთ ის საქონელი, რომელიც მთლიანობაში შეადგენს რუსეთის ექსპორტის ფორმირებას. წინა წელს ექსპორტის ყველაზე მომგებიან სფეროდ ითვლებოდა ნედლი ნავთობი. გადაუმუშავებელმა ნედლეულმა ქვეყანას მოუტანა დაახლოებით 130 მლრდ დოლარი. ამას ნავთობის პროდუქტებს თუ მივუმატებთ, გამოვა, რომ შავი ოქროს დამსახურებით, რუსეთმა წელიწადში 200 მლრდ დოლარზე მეტი მიიღო.

ამავდროულად, ნავთობის დარგში შეიმჩნევა სერიოზული ბრძოლა გასაღების ბაზრებისთვის. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემებით, აშშ უახლოეს 5 წელიწადში ნავთობის უფრო მეტ ექსპორტს განახორციელებს, ვიდრე იმპორტს, ხოლო ნავთობის ექსპორტის ერთობლივი მოცულობის მიხედვით აშშ გაასწრებს რუსეთს და მაქსიმალურად მიუახლოვდება საუდის არაბეთს. ეს ყველაფერი მხოლოდ ერთს ნიშნავს - გაძლიერებული კონკურენციის ფონზე ნავთობის გაყიდვა გაძნელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ეკონომიკის მძლავრი ფინანსური წყარო ნებისმიერ მომენტში შესაძლოა გამოილიოს.[4]

[4] https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?end=2018&locale=ru&locations=RU&start=1988

გაზის, ნავთობისა და ხორბლის ექსპორტი (ფედერალური საბაჟო სამსახურის (ფსს) მონაცემები) :

საქონლის დასახელება	2017 წლის მოცულობა, $	2018 წლის მოცულობა, $
ნედლი ნავთობი	93,3 მლრდ	129,0 მლრდ
ნავთობის პროდუქტები	58,2 მლრდ	78,1 მლრდ
ბუნებრივი აირი	38,1 მლრდ	49,1 მლრდ
მანქანა-დანადგარები	28,0 მლრდ	29,0 მლრდ
დიზელის სათბობი	23,2 მლრდ	33,1 მლრდ
შავი ლითონი	18,7 მლრდ	23,3 მლრდ
ქვანახშირი	13,5 მლრდ	17,0 მლრდ
ხორბალი	5,7 მლრდ	8,4 მლრდ
ხის მასალა	5,4 მლრდ	5,9 მლრდ
ალუმინი	5,4 მლრდ	5,3 მლრდ
მსუბუქი ავტომობილი	1,3 მლრდ	1,2 მლრდ
სატვირთო ავტომობილი	0,3 მლრდ	0,3 მლრდ
ელექტროენერგი[5]ა	0,6 მლრდ	0,8 მლრდ
არაყი	0,1 მლრდ	0,1 მლრდ

[5] https://www.kubdeneg.ru/eksport-import-rf-2019-obemy-struktura-tovary/

შესაძლოა, ეკონომიკის გადარჩენისათვის საჭირო გახდეს გაზის მიწოდების ზრდა. 2018 წელს რუსეთიდან გაზის ექსპორტის მოცულობა შეადგენდა 49 მლრდ დოლარს. ეს 11 მლრდ დოლარით მეტია, ვიდრე 2017 წელს. ასევე, გასულ წელს რუსეთმა მოახდინა 23 მლრდ დოლარის შავი ლითონის, 5.9 მლრდ დოლარის ხე-ტყისა და 8.4 მლრდ დოლარის ღირებულების ხორბლის ექპორტირება.

თუ შევადარებთ რუსეთის ექსპორტს წლების მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის პირველი თვის განმავლობაში, ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 31.6 მლრდ დოლარი. 2018 წელს ექსპორტის მოცულობამ აღემატა 450 მლრდ დოლარს. უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ექსპორტის მოცულობა მატულობს და არანაკლები როლი ამაში ითამაშა ნავთობზე ფასების ზრდამ. მაგალითად, 2016 წელს ექსპორტის მოცულობა იყო 285 მლრდ დოლარი, 2017 წელს ეს მაჩვენებელი ავიდა 359 მლრდ დოლარამდე, და საბოლოოდ 2018 წელს - 452 მლრდ დოლარამდე.

თუ ავიღებთ წლებს, რომლებმაც მოიტანეს ყველაზე მეტი მომგებიანობა ექსპორტის მოცულობის თვალსაზრისით, აქ გამოიყოფა 2011-2013 წლები, როცა ყოველწლიურად რუსეთს გაჰქონდა 0.5 ტრლნ დოლლარზე მეტი საქონელი. თუმცა, თუ ნავთობზე მოქმედი ფასები ახალ დონეზე გადავა, რუსეთი შესძლებს დაუბრუნდეს ამ მაჩვენებლებს. მაგრამ, არავინ იცის თუ რამდენად ხანგრძლივი იქნება ეს.

რუსეთის ძირითადი საგარეო ვაჭრობის პარტნიორებისგან გამოიყოფა ევროკავშირი. ამ რეგიონზე 2019 წლის მხოლოდ ერთი თვის ექსპორტმა შეადგინა 15 მლრდ დოლარზე მეტი. იანვარში საქონლის გადაზიდვამ ჩინეთში შეადგინა 4 მლრდ დოლარი, ხოლო თურქეთში - 1.6 მლრდ დოლარი. ყოფილი სსრკ ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი ექსპორტის მოცულობა მოდის ბელორუსიაზე, ყაზახეთსა და უკრაინაზე.

ექსპორტი ცალკეულ ქვეყნებში და ქვეყნების ჯგუფებში :

რეგიონი	ექსპორტის მოცულობა 2019 წლის იანვარში, $
ევროკავშირი	15,3 მლრდ.
ჩინეთი	4,0 მლრდ.
თურქეთი	1,6 მლრდ.
ბელორუსია	1,4 მლრდ.
აშშ	0,7 მლრდ.
ყაზახეთი	0,7 მლრდ.
უზბეკეთი	0,2 მლრდ.
უკრაინა	0,4 მლრდ.

[6]

[6] https://www.kubdeneg.ru/eksport-import-rf-2019-obemy-struktura-tovary/

რუსეთის ექსპორტი და იმპორტი 2000-2019 :



[7]

თუ რუსეთის ექსპორტი ძირითადად შედგება ნედლეულისა და სხვა რესურსებისგან, იმპორტი - მანქანა-დანადგარებისაგან. იმპორტის ამ ნაწილზე მოდის 112 მლრდ. დოლარი. ყველა სხვა საქონლის სახეობა ბევრად ჩამორჩება იმპორტის ლიდერის სტრუქტურას, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას შემოაქვს მედიკამენტები, მსუბუქი ავტომობილები, ტანსაცმელი და ა.შ.

[7] https://www.kubdeneg.ru/eksport-import-rf-2019-obemy-struktura-tovary/

ძირითადი საქონლის იმპორტი რუსეთში (ფედერალური საბაჟო სამსახურის მონაცემები) :

საქონლის დასახელება	2017 წლის მოცულობა, $	2018 წლის მოცულობა, $
მანქანა-დანადგარები	110,2 მლრდ	112,6 მლრდ
მედიკამენტები	8,5 მლრდ	8,0 მლრდ
მსუბუქი ავტომობილები	6,6 მლრდ	7,2 მლრდ
ტანსაცმელი	6,5 მლრდ	7,0 მლრდ
ხორცი	2,0 მლრდ	1,4 მლრდ
თევზი	1,1 მლრდ	1,2 მლრდ
ციტრუსები	1,1 მლრდ	1,2 მლრდ
სასმელები	2,4 მლრდ	2,6 მლრდ
ფეხსაცმელი	1,5 მლრდ	1,7 მლრდ
სატვირთო ავტომობილები	1,9 მლრდ	1,9 მლრდ
ავეჯი	1,6 მლრდ	1,9 მლრდ

[8]

[8] https://www.kubdeneg.ru/eksport-import-rf-2019-obemy-struktura-tovary/

იმპორტი, როგორც წესი ექსპორტთან ერთად იზრდება. 2011-2013 წლებში ექსპორტის ზრდასთან ერთად იმპორტის მოცულობაც მკვეთრად გაიზარდა. მან შეადგინა 305-317 მლრდ დოლარი. 2018 წელს რუსეთმა შემოიტანა საქონელი 240.5 მლრდ დოლარის ღირებულების ოდენობით, ხოლო 2019 წლის იანვრის მიხედვით - 15.6 მლრდ დოლარი.

იმპორტის სავაჭრო სტრუქტურაში უდიდესი ხვედრითი წილი მოდიოდა მანქანა-დანადგარებზე - 45.7% (იანვარი-აპრილი 2018 წლის - 46.1%). იმპორტის სავაჭრო სტრუქტურაში შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქონლის ამ წილმა შეადგინა 48.9% (იანვარი-აპრილი 2018 წლის - 49.3%), დსთ-ს ქვეყნებიდან - 19.8% (იანვარი-აპრილი 2018 წლის - 20.9%). ამ პროდუქციის ღირებულების მოცულობის შემოტანა 2018 წლის იანვარი-აპრილის მონაცემებთან შედარებით შემცირდა 1.7%-ით, მათ შორის მექანიკური აღჭურვილობა 8.0%-ით, ინსტრუმენტები და ოპტიკური აპარატების - 2.8% , ელექტრო აღჭურვილობა - 2.4%. მსუბუქი ავტომობილების იმპორტის ფიზიკური მოცულობა შემცირდა 3.9% -ით, ხოლო სატვირთო ავტომობილების გაიზარდა 39.4%-ით.

რუსეთის საგარეო ვაჭრობის ქვეყნის სტრუქტურაში წამყვან ადგილს იკავებს ევროკავშირი, როგორც ქვეყნის უმსხვილესი ეკონომიკური პარტნიორია. 2019 წლის იანვარი-აპრილის პერიოდში რუსეთის საქონელბრუნვის 43.1% მოდიოდა ევროკავშირის წილზე (იანვარი-აპრილი 2018 წლის - 44.9%). აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის (APEC) ქვეყნებზე - 31.3% (28.6%) , დსთ-ს ქვეყნებზე - 11.7% (12.0%) , ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ქვეყნებზე - 8.0% (8.5%).

რუსეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორები შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებიდან 2019 წლის იანვარი-აპრილის პერიოდში იყვნენ: ჩინეთი, რომელთანაც საქონელბრუნვამ შეადგინა 33.5 მლრდ აშშ დოლარი (104.1% იანვარი-აპრილი 2018 წლის მონაცემებთან შედარებით) , გერმანია - 18.1 მლრდ აშშ დოლარი (93.9%) , ნიდერლანდები - 17.8 მლრდ აშშ დოლარი (110, 6%) , კორეის რესპუბლიკა - 8.5 მლრდ აშშ დოლარი (138.8%) , აშშ - 8.4 მლრდ აშშ დოლარი (122.0%) , თურქეთი - 8.1 მლრდ აშშ დოლარი (88.1 %) , იტალია - 8.0 მლრდ აშშ დოლარი (98.1%) , იაპონია - 6.7 მლრდ აშშ დოლარი (107.0%) , პოლონეთი - 5.5 მლრდ აშშ დოლარი (82.5%), საფრანგეთი - 4.8 მლრდ აშშ დოლარი (82.7%).

1.2 რუსეთის საგარეო სავაჭრო ურთიერთობები

საერთაშორისო სავაჭრო კავშირი ამერიკასა და რუსეთს შორის

რუსეთ-ამერიკულ სავაჭრო კავშირს აქვს მრავალწლიანი ისტორია. აშშ ტრადიციულად იკავებს მნიშვნელოვან ადგილს რუსეთის საგარეო ვაჭრობაში. ამასთან ერთად, ორმხრივი ვაჭრობის განვითარების ურთიერთ-დაინტერესების მიუხედავად, მისი მოცულობა შესამჩნევად ჩამორჩება ორივე ქვეყნის არსებულ პოტენციალს. რუსეთი აშშ-ს პარტნიორებს შორის დგას მე-28 ადგილზე, ხოლო აშშ რუსეთისთვის - მე-7.

2018 წელს რუსეთისა და აშშ-ს საქონელბრუნვამ შეადგინა 25 021 672 307 $, მათ შორის: რუსეთის ექსპორტი აშშ-ში - 12 505 682 050 $, ხოლო იმპორტი აშშ-დან - 12 515 990 257 $. სავაჭრო ბრუნვის სალდო - -10 308 207 $.

აშშ-ს წილმა რუსეთის საგარეო სავაჭრო ბალანსში 2018 შეადგინა 3.64% ; ექსპორტში - 2.8% (მე-10 ადგილი) ; იმპორტში - 5.3% (მე-3 ადგილი).

თუმცა, ამერიკის ეკონომიკის მასშტაბების გათვალისწინებით მიზანშეწონილი იყო უფრო მაღალი მაჩვენებლების მოლოდინი.

რუსეთ-ამერიკის ვაჭრობის დინამიკა 2000-იან წლებში ვითარდებოდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის ზრდის საერთო ტენდენციის მიმართულებით. 2008 წლის შესამჩნევი ამაღლების შემდეგ 2009 წლის დაცემამ შეადგინა 46% როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის წილში. მაგრამ 2010 წლიდან მდგომარეობა უმჯობესდება და ვაჭრობა იძენს მაღალ დინამიკას.

რუსეთის ვაჭრობის დინამიკა აშშ-სთან ; მლრდ. $



[9]

რუსეთის გოსკომსტატის მონაცემებით, რუსეთის ექსპორტი აშშ-ში 2011 წელს გაიზარდა 33.9%-ით 16.6 მლრდ დოლარამდე (2010-ში 12.4 მლრდ დოლარი), ხოლო იმპორტი - 31.5%-ით 14.6 მლრდ დოლარამდე (2010-ში 11.1 მლრდ დოლარი). 2012 წელს მოხდა ექსპორტის შემცირება 13.0 მლრდ დოლარამდე და იმპორტის მცირე ზრდა 15.3 მლრდ დოლარამდე.

1990-2000 წლების მანძილზე რუსეთს ძირითადად ჰქონდა არა მნიშვნელოვანი, მაგრამ დადებითი სალდო აშშ-ს ვაჭრობასთან. 2011 წელს პროფიციტმა შეადგინა 2 მლრდ დოლარი, თუმცა 2012 წელს აშშ-სთან ვაჭრობის შედეგად დეფიციტმა შეადგინა 2.3 მლრდ. დოლარი.

აშშ-ის იმპორტში რუსეთიდან ამერიკული სტატისტიკის მიხედვით ჭარბობს სათბობ-ნავთობი და ნავთობის პროდუქტები. 2012 წელს მათმა წილმა შეადგინა 73% (2011-ში - 77%). ამასთან, უნდა ითქვას, რომ მინერალურ ნედლეულზე ფასების

[9] gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_main/rosstat/ru/ statistics/ftrade/#

მნიშვნელოვანი ზრდის გამო ეს წილი შესამჩნევად გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში. 2000-იანი წლების დასაწყისში ამერიკული შესყიდვების სტრუქტურა რუსეთიდან უფრო დივერსიფიცირებული იყო: ლითონის წილი შეადგენდა 28%-ს, არაორგანული ქიმიის პროდუქტები - 17%, ალუმინი და მისგან შექმნილი ნაკეთობები - 16.5% , მანქანა-დანადგარებზე მოდიოდა 12%. ენერგომატარებლებზე მსოფლიო ფასების ზრდამ ერთისა და მეორეს მხრივ რუსეთის გადამამუშავებელ მრეწველობაში ხანგრძლივმა შეფერხებამ შესამჩნევად შეავიწროვა რუსეთის საექსპორტო ბაზა აშშ-ში მიწოდებისთვის.

ამერიკულ მიწოდებაში რუსეთში დომინანტურია ავიატექნიკა და მისი სათადარიგო ნაწილები, ავტომობილები და ასევე ხორც-პროდუქტები (თუმცა მისი წილი მცირდება რუსეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად).

ამერიკის ექსპორტის მთავარ წამყვანად რუსეთში 2012 წელს, როგორც რუსეთის ვაჭრობის წარმომადგენლობა აშშ-ში აღნიშნავს, იყო მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები (მთელი საექსპორტო მიწოდების 61%). რუსეთში მათი მიწოდების მოცულობა გაიზარდა 1.9 მლრდ დოლარით, უპირატესად საჰაერო, კოსმოსური აპარატების და მათი ნაწილების (700 მლნ დოლარზე) , სატრანსპორტო საშუალებების (394 მლნ დოლარზე), კოსმოსური აპარატების (თანამგზავრის ჩათვლით), სუბორბიტალური და კოსმოსური რაკეტების (178 მლნ დოლარზე) ზრდის ხარჯზე.

2012 წელს 414 მლნ დოლარით გაიზარდა ამერიკული სასურსათო საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტი.

საერთო ვაჭრობის განვითარებაში უფრო მეტ როლს თამაშობს საინვესტიციო ურთიერთობა. აშშ შედის წამყვანი ქვეყნა-ინვესტორების სიაში რუსეთის ეკონომიკაში მოზიდული უცხოური ინვესტიციების მოცულობის მიხედვით. 2012 წლის შედეგებით აშშ-ს წილზე მოდიოდა რუსეთში დაგროვილი უცხოური ინვესტიციების 6.8 მლრდ დოლარი, 362.4 მლრდ დოლარის საერთო ოდენობიდან. ამერიკული ინვესტიციების სტრუქტურაში პირდაპირი ინვესტიციების წილმა შეადგინა 54% (3.67 მლრდ დოლარი). 2012 წელს აშშ-დან რუსეთში უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 395.4 მლნ დოლარი, ორჯერ მეტი 2011 წელთან შედარებით.

აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობის გამოკვლევა სავაჭრო ეკონომიკურ სფეროში თანამედროვე ეტაპზე ტრადიციულად იზიდავს მკვლევრების განსაკუთრებულ ყურადღებას.

ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძვლები და მისწაფებები.

სავაჭრო ეკონომიკურ თანამშრომლობას რუსეთსა და აშშ-ს შორის, მსოფლიო პრაქტიკასთან მიმართებაში აქვს შეთანხმებით სამართლებრივი ბაზა, რომელიც მნიშვენლოვნად განვითარდა 1992 წლიდან 2000 წლამდე. მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის იყო დადებული 151 ხელისუფლებათაშორისი და სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება (თითქმის იმდენივე, რამდენიც იყო გაფორმებული 58 წლის განმავლობაში საბჭოთა-ამერიკული დიალოგის შედეგად, 1933-1991 წწ. იყო გაფორმებული 180 ასეთი შეთანხმება). სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ბაზა იყო ჩადებული აშშ-სა და სსრკ-ს სავაჭრო ურთიერთობების შესახებ 1990 წლის 1 ივნისის შეთანხმებაში.

1993 წელს რუსეთმა და აშშ-მ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ორმხრივი დაბეგრვის თავიდან აცილების, შემოსავალზე და კაპიტალზე გადასახადების გადაუხდელობის თავიდან აცილების შესახებ. ხელშეკრულება აზუსტებს საგადასახადო რეჟიმს ინვესტორებისთვის და უმეტეს შემთხვევაში ამცირებს საგადასახადო ტვირთს, რაც ხელს უწყობს სერიოზული ინვესტირების შესაძლებლობას. ხელშეკრულებამ დაადგინა დაბეგრვის მაქსიმალური დონე დივიდენდების მიმართ 10% განაკვეთით იმ ქვეყნებში, სადაც ეს დივიდენდები მიღებულია. ხელშეკრულება ითვალისწინებს თანამშრომლობას ოფიციალურ ამერიკულ და რუსულ საგადასახადო უწყებების წარმომადგენლებს შორის, ასევე ინფორმაციის გაცვლას დაბეგრვის საკითხებზე[10].

ამასთან დაკავშრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის შეერთებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან (WTO) 2012 წელს. სანქციების შემოღების შემდეგ აშშ-სა და

[10] ყირიმის სამეცნიერო ჟურნალი N.5 (17), 2017 krvestnik.ru

რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ნორმატიულ-სამართლებრივ არსებულ ბაზას დაემატა კანონების რიგი, მაგალითად , „რუსეთის ევროპაზე და ევრაზიაზე ზეგავლენის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ 2017 წლის კანონი“ (Countering Russian Influence in Europe and Eurasia Act of 2017), „აშშ-ს კანონი სანქციების შესახებ“ (Countering America's Adversaries Through Sanctions Act, H.R. 3364) და სხვა.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები

რუსეთსა და ამერიკის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დღესდღეობით მკვეთრად გამოყოფილ სპეციფიკას ატარებენ.

რუსეთ-ამერიკის ვაჭრობის დინამიკა 2007-2018 წწ., მლრდ. $



[11]

უპირველეს ყოვლისა, 2014 წლიდან ისინი ვითარდებიან აშშ-ის მიერ ინიცირებული და სხვა დასავლეთ ქვეყნების მიერ მხარდაჭერილი ეკონომიკური სანქციების

[11] https://ru-stat.com/

ზეგავლენის ქვეშ, რაც თავის მხრივ იმ ტენდენციების ცვლილებასთან მიჰყავს, რომლებიც 2000-2007 წწ.-ში შეიმჩნეოდა.

1. ღირებულებით გამოსახულებაში რუსეთ-ამერიკის სოქონელბრუნვა მცირდება რუსეთის ფედერაციის საგარეო ვაჭრობის სხვა მაჩვენებლებთან შედარებით ბევრად ნელა. შასაბამისად აშშ-ს, როგორც რუსეთის ფედერაციის სავაჭრო პარტნიორის წვლილი იზრდება, განსაკუთრებით რუსეთ-დასავლეთევროპის ვაჭრობის მკვეთრ შემცირებასთან შედარებით. სხვა სიტყვებით, ევროპის ბაზარზე რუსეთის პოზიციების შესუსტების პირობებში, ხოლო ევროპული ქვეყნების - რუსეთში, ამერიკული ბიზნეს სტრუქტურები გააქტიურდნენ როგორც რუსეთის, ასევე ევროპის მიმართულებით სათავისო მოგების მიღების მიზნით. აშშ-ს მიერ ინიცირებული სანქციები უნდა განიხილებოდეს, როგორც კონკურენციის არაკეთილსინდისიერი ფორმა, რომელიც ეწინააღმდეგება WTO-ს პრინციპებს და მოთხოვნებს, როგორც რუსეთის, ასევე ევროპული ბიზნესის წინააღმდეგ და როგორც რუსეთ-ევროპის სავაჭრო კავშირების დარღვევის პირობებში საგარეო ვაჭრობის ექსპანსიის შესაძლებლობა.

2. როგორც ჩანს, ზემოთ წარდგენილი მონაცემების ანალიზის მიხედვით, სავაჭრო ბალანსი ორივე ქვეყნის ურთიერთვაჭრობისას აშშ-ს სასარგებლოდაა. ამავე დროს, პრაქტიკულად, მთელი პერიოდის განმავლობაში 1990 წლიდან დაწყებული (1992 და 1993 წლების გამორიცხვით) რუსეთს ჰქონდა დადებითი სალდო აშშ-სთან ვაჭრობისას. ექსპორტის იმპორტზე გადაჭარბებამ აშშ-დან რუსეთ-ამერიკის ვაჭრობაში ხელი შეუწყო სავალუტო შემოსავლების ზრდას, ქმნიდა გარკვეულ წინაპირობას რუსეთის სავალუტო-საკრედიტო პრობლემების გადაჭრისათვის. ახლა, როგორც სტატისტიკური მონაცემები ამტკიცებს, საპირისპირო სიტუაციაა.

3. რუსეთისა და აშშ-ს ორმხრივი ვაჭრობის დისბალანსი ჩნდება. როგორც ჩანს ცხრილიდან, 2014 წლიდან დაწყებული 2016 წლის ჩათვლით, რუსეთის ექსპორტი აშშ-ში პრაქტიკულად ორჯერ შემცირდა. ამავე დროს რუსეთის იმპორტი აშშ-დან იგივე პერიოდის განმავლობაში დარჩა 2014 წლის დონეზე, რაც თავის მხრივ აშშ-ს საშუალებას აძლევს გაამრავლოს თავისი მონაწილეობა რუსულ ბაზარზე.

4. ამერიკელი ინვესტორების აქტივობა იზრდება ევროპისა და რუსეთის ბაზრებზე, როგორც სანქციური ომის შედეგი. 2016 წლის ივნისის დასაწყისში Boeing-მა გახსნა

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრები რუსულ „სკოლკოვო“-ში, მანამდე კი ერთი წლით ადრე შეათანხმა სატვირთო გადამზიდავთან, „ვოლგა-დნეპრ“-თან, Boeing 747-8 ის 20 თვითმფრინავის მიწოდება. შეთანხმება ფასდება 7.4 მლრდ დოლარად ან 370 მლნ დოლარად ერთ თვითმფრინავზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან სურსათის წინააღმდეგ კონტრსანქციების კონტექსტში, ამერიკული სასოფლო-სამეურნეო კონცერნი Cargill ზრდის ინვესტიციებს რუსულ წარმოებაში. 2016 წლის თებერვალში მან განაცხადა, რომ მზადაა ჩადოს 1.74 მლნ რუბლი ტიუმენის ოლქში, ქარხნის მშენებლობაში საკვების დანამატების მწარმოებლურობის მიზნით.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის მიერ ინიცირებული ანტირუსული ეკონომიკური სანქციები აღმოჩნდა საკმაოდ მომგებიანი აშშ-სთვის. შესაბამისდან მათი გაუქმების მოლოდინი, როგორც მოკლე ასევე საშუალოვადიან პერსპექტივაში რთულია.

რუსეთის ფედერაციისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი სტრატეგიის დამუშავება და რეალიზება, რათა რუსეთ-ამერიკის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა განავითაროს. მის საფუძველში უნდა იყოს ჩადებული ნაციონალური ეკონომიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ობამას ადმინისტრაციის ინიციატივით „გაყინვის“ მიუხედავად და ასევე აშშ -ის რიგი სანქციების რუსულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს წინააღმდეგ, საქმიანი ურთიერთობები ქვეყნებს შორის მაინც ნარჩუნდება. რუსული კომპანიები აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას ამერიკაში, ამერიკული ბიზნესიც დაინტერესებულია თავისი პოზიციების შენარჩნებით რუსეთში, მითუმეტეს ევრაზიული ეკონომიკური კავშრის ამოქმედებასა და მუშაობის გათვალისწინებით. ამასობაში ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მოცულობა იყო და რჩება უმნიშვნელოდ და არ პასუხობს ამ ორი ქვეყნის ინტერესებსა და პოტენციალს. რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის მონაცემების მიხედვით, აშშ-სთან ორმხრივი ბრუნვა 2016 წელს შემცირდა 4.5 %-ით 2015 წელთან შედარებით, 19.97 მლრდ დოლარამდე. რუსეთიდან აშშ-ში ექსპორტმა შეადგინა 9.3 მლრდ დოლარი ; იმპორტმა რუსეთში - 10.7 მლრდ. 2017 წლის

იანვარი- მაისის შედეგებით ორმხრივი ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა 25 %-ით 8.7 მლრდ დოლარამდე 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამასთან რუსული ექსპორტი გაიზარდა 24.5%-ით 4 მლრდ დოლარამდე, ხოლო იმპორტი - 24.8%-ით 4.8 მლრდ დოლარი.

რუსულ ექსპორტში მიწოდების ძირითადი წილი მოდის ლითონებზე და მათგან დამზადებულ ნაკეთობებზე - 34.5% ; ნავთობპროდუქტები - 32.4% ; ქიმიური მრეწველობის პროდუქცია - 15.6% ; მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები - 72.7% ; ხიპრომის პროდუქცია - 15.7%, სასურსათო საქონელი და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული - 4.7% და სხვა.

აშშ იკავებს მე-7 ადგილს რუსეთის ყველა საგარეო სავაჭრო პარტნიორებს შორის.

საინვესტიციო ურთიერთქმედება ვითარდება. რუსეთის ბანკის სტატისტიკის მიხედვით, აშშ-დან რუსეთში პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებამ 2016 წელს შეადგინა 403 მლნ დოლარი, ხოლო რუსეთიდან აშშ-ში - 873 მლნ დოლარი. რუსეთის საერთო დაგროვილი ინვესტიციების რიცხვმა აშშ-ში შეადგინა 8.69 მლრდ დოლარი, ხოლო აშშ-დან რუსეთში - 2.2 მლრდ. რუსული კომპანიების პირდაპირი ინვესტიციები აშშ-ში ძირითადად გამოისახება მეტალურგიასა და ნავთობგაზის სექტორში. ამერიკული პირდაპირი ინვესტიციები რუსეთში ჩადებულია ძირითადად გადამამუშავებელ მრეწველობაში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, საკვების პროდუქტების წარმოებაში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, საფინანსო მოღვაწეობაში, უძრავი ქონების ოპერაციებში, იჯარასა და მომსახურების გაწევაში. განსაკუთრებულ ინტერესს ამერიკული ბინზესი იჩენს რუსეთის რეგიონებთან საინვესტიციო თანამშრომლობის მიმართ, უშუალოდ ქიმიური, ლითონური, ავიაკოსმოსური და საავტომობილო მრეწველობის კონცენტრაციის ცენტრების საწარმოებთან. შესამჩნევი განვითარება მიიღო საერთო პროექტებმა წამლების წარმოების ლოკალიზაციის მიმართ. ჯამში, რუსეთში მუშაობს 3 ათასი ფირმა ამერიკული კაპიტალის მონაწილეობით, რომელშიც მუშაობს დაახლოებით 180 ათასი კაცი, ხოლო ერთობლივი აქტივები აღწევენ 75 მლრდ დოლარს.

რუსეთისა და ჩინეთის საგარეო ურთიერთობების განვითარების ტენდენციები და მდგომარეობის ანალიზი

თანამედროვე ეტაპზე მოხდა რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის გაღრმავება. ორივე ქვეყნის სავაჭრო თანამშრომლობის განვითარების დინამიკა შეიძლება იყოს დადებითად დახასიათებული, თუმცა არსებობს რიგი სფეციფიკური თავისებურება, რასაც ადასტურებს სტატისტიკური მონაცემები.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-ჩინეთის ვაჭრობა 2016 წელს იმყოფებოდა ნეგატიური გარე და შიდა ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ, 2017 წლის შედეგების მიხედვით აღნიშნულია ორმხრივი ვაჭრობის დადებითი დინამიკა. რუსეთი, როგორც ჩინეთის ძირითად სავაჭრო პარტნიორებს შორის მე-16 ადგილიდან ავიდა მე-12 ადგილზე. რუსეთისთვის ჩინეთი არის 1 სავაჭრო პარტნიორი.

რუსეთ-ჩინეთის საქონელბრუნვამ 2018 წელს შეადგინა 97.23 მლრდ $. რუსეთიდან ჩინეთში ექსპორტმა შეადგინა 53.78 მლრდ $; ხოლო რუსეთში იმპორტმა - 43.45 მლრდ $

საქონელბრუნვა რუსეთსა და ჩინეთს შორის 2007–2018წწ. ; მლრდ. $



12

[12] რუსეთის ფედერაციული საბაჟო სამსახურის მონაცემები

რუსეთსა და ჩინეთს შორის საგარეო ვაჭრობის განვითარების ანალიზი ამტკიცებს იმას, რომ მათი საგარეო სავაჭრო ბალანსი 2007-2018 წწ. პერიოდში ხასიათდებოდა განსხვავებული დინამიკით: შეინიშნებოდა, როგორც სალდოს დაცემა, ასევე ზრდა. ამასთან, მთლიანი პერიოდის განმავლობაში შეიძლება აღვნიშნოთ უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსი. 2016 წლის შედეგების მიხედვით ექსპორტი ჩინეთში 2%-ით შემცირდა. ამავე დროს ჩინეთიდან რუსეთში იმპორტი 9%-ით გაიზარდა.

თუ განვიხილავთ რუსეთ-ჩინეთის საქონელბრუნვის დარგის სტრუქტურას 2010-2016 წლებში, იგი ხასიათდებოდა ჩინეთის ექსპორტში სამრეწველო პროდუქციის წილის პერიოდული ზრდით, კერძოდ იზრდებოდა: ქიმიური მრეწველობის პროდუქციის, ლითონის და მისგან შექმნილი ნაკეთობების, ქსოვილის, საფეიქრო ნაკეთობების, ფეხსაცმლის, მანქანადანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტი.

რუსეთ-ჩინეთის სავაჭრო თანამშრომლობაში ნარჩუნდება რისკის ფაქტორები, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ შემდგომი ურთიერთობის განვითარებაზე. მათ მიეკუთვნება გეოპოლიტიკური არასტაბილურობა, გლობალური სასაქონლო, სანედლეულო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობა, რუსეთისთვის დაწესებული სანქციების მოქმედება დასავლეთის ქვეყნების მხრიდან, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება რუსეთსა და ჩინეთში.

თუმცა, რუსეთმა და ჩინეთმა დაადასტურეს მზადყოფნა მიიყვანონ 2020 წლისთვის ორმხრივი ვაჭრობის მოცულობა 200 მლრდ აშშ დოლარამდე. ამოცანა ამბიციურია, მაგრამ ჩინელი ექსპერტების მიხედვით შესრულებას ექვემდებარება. ექსპერტთა საზოგადოებაში აღინიშნება, რომ 2020 წლისთვის საქონელბრუნვის მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევისთვის მსხვილი პროექტების შესრულების გარდა, საჭიროა რეგიონალური საერთო ვაჭრობის პოტენციალის რეალიზაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების დონეზე.

რუსეთ-ჩინეთის თანამშრომლობის განვითარებაში არსებობს სხვა სერიოზული პრობლემებიც: სხვაობა ინსტიტუციურ დონეზე, საბაზრო ინფრასტრუქტურაში, ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებში, კულტურული და ენობრივი განსხვავება და სხვა.

მთავარი ეკონომიკური წინააღმდეგობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობისას არის ის, რომ ჩინეთს სურვილი აქვს ძირითადად რუსული ნედლეულის შეძენისა, ხოლო რუსეთს - სავაჭრო ასორტიმენტის გაფართოება მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ზრდისთვის. ეს წინააღმდეგობა არის მთავარი წინაღობა რუსეთ-ჩინეთის ეკონომიკური ინტერესების ფორმირებისთვის. ამიტომაც ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების ცენტრალურ პრობლემად ითვლება: ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა ორმხრივ ვაჭრობაში: ჩინეთში იმპორტირებული რუსული ნედლეულის მასშტაბი.

მთავარი დისბალანსი გამოიხატება ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურაში. ჩინეთში ექსპორტი სანედლეულო მიმართულებით ხასიათდება, მაშინ როცა ჩინეთიდან იმპორტის სტრუქტურაში ძირითად წილს იკავებს მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქცია. იქმნება სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შენარჩუნებისკენ მიდრეკილება. 2016 წელს დეფიციტმა შეადგინა 10.5 მლრდ დოლარი. რაც ნეგატიურად აისახება რუსეთის ექსპორტზე ჩინეთში და ნედლეულის ღირებულებაზე.

უახლოეს მომავალში ნედლი ნავთობის წილის შემცირების მოლოდინი არ არსებობს, რადგან დადებულია რიგი ახალი კონტრაქტები და ასევე დაგეგმილია მიწოდება ადრე დადებული კონტრაქტების მიხედვით. 2017 წლის 17 ნოემბერს „როსნეფტ“-მა განაცხადა ჩინეთის China Energy Company Limited -თან შეთანხმების შესახებ მიაწოდოს 60.8 მლნ ნავთობის ტონა 2022 წლის ბოლომდე.

2019 წლის დეკემბრისთვის დაგეგმილია ჩენეთში მაგისტრალური გაზსადენის „ციმბირის ძალა 1“-[13]ის ფარგლებში გაზის მიწოდების დაწყება 38 მლრდ კუბამეტრამდე მოცულობის ოდენობით წელიწადში, 30 წლის განმავლობაში.

ორმხრივი ვაჭრობის სტრუქტურის დინამიკის მიხედვით, რუსული მრეწველობის პროდუქცია ჩინურთან შედარებით აგრძელებს თავისი კონკურენტუნარიანობის დაკარგვას, რასაც მიჰყავს ჩინეთში რუსეთის ექსპორტის არა მხოლოდ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მნიშვნელობისკენ, არამედ მისგან დამოკიდებულებისკენ.

[13] https://www.gazprom.ru/projects/power-of-siberia/

მთავარი პრობლემები, რომლებიც აბრკოლებენ საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას:

პრობლემები	პრობლემის არსი
პოლიტიკური	1. განსხვავებული შეხედულებები საერთაშორისო პრობლემებზე. 2. ურთიერთვაჭრობის მთლიანი მექანიზმის კორუმპირება. 3. .არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი რუსეთში.
ეკონომიკური	1. ჩინეთის ბაზარზე რუსული მანქანათმშენებლობის პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობა 2. რუსეთის ეკონომიკის დასუსტება ჩინეთის სწრაფადმზარდი მძლავრი ეკონომიკის ფონზე
გეოგრაფიული	1. ორი სახელმწიფოს მესაზღვრე ტერიტორიების განუვითარებლობა 2. ჩინეთის საქმიანი კულტურისა და ჩინეთის ბაზრის არასაკმარისი ცოდნა რუსული ბიზნესმენების მიერ.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის სტრატეგიის გამოკვლევა, რაც აუცილებელია რუსული მმართველების მიერ, რათა შეინარჩუნოს ჩინეთი ხანგრძლივი დროით სანდო და ხელსაყრელ პარტნიორად. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმიტომ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ დამოკიდებულება არის დისკუსიის საგანი რუსულ საზოგადოებაში.

მსგავსი პრობლემების უმეტესობა ძალიან ანელებს არა მხოლოდ საინვესტიციო, არამედ საგარეო-სავაჭრო სფეროს მთლიანობაში. ზოგიერთი ამ პრობლემებს შორის ექვემდებარება მოგვარებას და მოგვარდება, ხოლო სხვა კი ითხოვს მოგვარების გზის ერთობლივ ძებნას. ბოლო წლების განმავლობაში, რუსეთ-ჩინეთის თანამშრომლობის მრავალი ფორმა ვითარდება მზარდი ტემპებით.

ნავთობ-გაზის დარგი

თანამშრომლობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებათაგან არის სათბობ-ენერგეტიკული სფერო. ჩინეთის მთავარი საბაჟო მმართველობის მონაცემების თანახმად, რუსეთის ნავთობის წილმა ჩინეთის იმპორტში შეადგენა 14.45%. რუსეთი ჩინურ ბაზარზე ლიდერია ნავთობის მოცულობის მიწოდების მიხედვით (მეორე ადგილს იკავებს საუდის არაბეთი). Forbes-ის ჟურნალის მონაცემებით 2016 წელს რუსეთის კომპანიების ნავთობის ექსპორტმა ჩინეთში შეადგინა 47.8 მლნ ტონა, რაც იყო 14.6 მლრდ დოლარი. „როსნეფტ"-ის ხელმძღვანელის იგორ სეჩინის სიტყვებით, რუსული ნავთობის ექსპორტის სტრუქტურაში ჩინეთის წილმა მიაღწია 20.6%-ს.

შეთანხმების თანახმად, რომელიც იყო ხელმოწერილი 2009 წელს, ჩინეთის განვითარების ბანკმა (China Development Bank) მისცა რუსულ კომპანიებს „როსნეფტ"-სა და „ტრანსნეფტ"-ს კრედიტი 25 მლრდ დოლარის ოდენობით 20 წლის ვადით, ამ პერიოდში 300 ტონა ნავთობის მიწოდების სანაცვლოდ. ამ შეთანხმების ფარგლებში იყო აშენებული ნავთობსადენის მილთა ქსელი „აღმოსავლეთ ციმბირი - წყნარი ოკეანე", 2011 წლის იანვარში დაიწყო პირველი მიწოდება. 2013 წელს „როსნეფტ"-ისა და ჩინეთის ეროვნულ ნავთობ-გაზის კორპორაციას (CNPC) შორის იყო გაფორმებული კონტრაქტი ნავთობის დამატებით მიწოდებაზე 325 მლნ ტონის მოცულობით, 25 წლის ვადით. სეჩინის შეფასებით, ამ შეთანხმების ღირებულებამ შეადგინა 270 მლრდ დოლარი. ფაქტობრივად, „როსნეფტ"-მა 2016 წელს მიაწოდა ჩინეთში ნავთობის 34.5 მლნ ტონა.

დღესდღეობით „გაზპრომი" აშენებს გაზსადენს „ციმბირის ძალა", რომლის გავლით გაზი აღმოსავლეთ ციმბირის საბადოდან იქნება ტრანსპორტირებული როგორც რუსეთის შიდა ბაზარზე, ასევე ექსპორტზე ჩინეთში. მოსალოდნელია, რომ გაზის მიწოდება ჩინეთშ დაიწყება 2019 წელს. კონტრაქტი 38 მლრდ კუბამეტრის გაზზე წელიწადში 30 წლის ვადით იყო ხელმოწერილი 2014 წლის მაისში „გაზპრომ"-სა და CNPC-ის მიერ. კონტრაქტის ღირებულება არ იყო გამოქვეყნებული. მაგრამ „გაზპრომ"-ის ხელმძღვანელმა ალექსეი მილლერმა განაცხადა, რომ რუსეთს ექნება შესაძლებლობა გამოიმუშაოს 400 მლრდ დოლარი, 55 მლრდ დოლარის დაბანდების ხარჯზე.

ჩინეთში გაზის ტრანსპორტირების მეორე პროექტი (დასავლური მარშრუტი) მოლაპარაკებების სტადიაზეა. იგი ითვალისწინებს გაზის მიწოდებას „ციმბირის ძალა 2“-ის მილსადენით წელიწადში 30 მლრდ კუბამეტრის მოცულობით 30 წლის ვადით. ამ პროექტზე ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს ‘გაზპრო“-მა და CNPC-მ ხელი მოაწერეს 2014 წლის ნოემბერში.

გარდა ამისა ჩინეთის ინვესტორები ინტერესს იჩენენ რუსული პროექტების მიმართ თხევადი ბუნებრივი გაზის წარმოებაზე. 2015 წლის დეკემბერში აბრეშუმის გზის ფონდმა შეიძინა იამალის თხევადი ბუნებრივი აირის აქციების 9.9%, ასევე გასცა საწარმოს კრედიტი 700 მლნ ევროს ოდენობით. ამ პროექტში 20% ეკუთვნის CNPC-ს.

2016 წლის ნოემბერში მხარეებმა ხელი მოაწერეს რიგ შეთანხმებას, მათ შორის „როსნეფტ“-ისა და ჩინურ კომპანია Beijing Gas Group-ს შორის. შეთანხმება შეიცავს:

1. გაზის ბიზნესის თანამშრომლობის შესახებ, „ვერნეჩონსნეფტეგაზ“-ის აქციების 20%-ის შეძენას. გარიგების ღირებულება, რომელიც ჩატარდა 2017 წლის ივნისში ფასდება 1.1 მლრდ დოლარად.
2. „სიბურ ჰოლდინ“-ის წილის გაყიდვა ჩინეთის აბრეშუმის გზის ფონდისთვის.
3. „გაზპრომ“-სა და CNPC-ს შორის მემორანდუმი თანამშრომლობის შესაძლებლობის გამოკვლევის შესახებ, გაზმოტორული სათბობის სფეროში.

ურთიერთობა სამკუთხედში ჩინეთი-რუსეთი-აშშ

ცივი ომის პერიოში სამმხრივი ურთიერთობა ჩინეთს, რუსეთსა და აშშ-ს შორის გახდა საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის ფორმირების დასაყრდნობი წერტილი. მისი დასრულების შემდეგ „დიდი სამკუთხედის“ როლმა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში კლება დაიწყო. დღესდღეობით, ცივი ომის შემდგომი მშვიდობის რომანტიკული ილუზიები გაქრა და კვლავ დაუთმო ადგილი გეოპოლიტიკურ მსჯელობას. ხდება ახალი „დიდი სამკუთხედის“ ფორმირება, რომელსაც ექნება შესაძლებლობა კიდევ ერთხელ გახდეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის ფორმირების მთავარი ორგანიზაციული ფაქტორი.

ჩინეთი და აშშ - მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკებია და მათმა ურთიერთობამ მიიღო შეჯიბრის ხასიათი. ისტორიულად ისე მოხდა, რომ მსოფლიოში დომინანტ ქვეყნასა და იმ ქვეყანას შორის, რომელიც აღმავლობას განიცდის, ჩნდება მეტოქეობა. დომინანტური სახელმწიფო ცდილობს მსოფლიოში თავისი ადგილი შეინარჩუნოს და იყენებს ყოველგვარ სახსრებს იმისათვის, რომ მსოფლიოს მთავარი ლიდერი იყოს. ასეთ ქვეყნებს შორის ურთიერთობა ანტოგონიზმით ხასიათდება, მსოფლიოს ლიდერის შეცვლა ხშირად სისხლისღვრის თანხლებით მიმდინარეობს.

ჩინეთს სურს გახდეს აშშ-ს პარტნიორი და არა მოწინააღმდეგე, პატიოსანი თანამშრომლობის წესებს მიჰყვეს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნაცვლად, მიისწრაფებოდეს ურთიერთმომგებიანი ურთიერთობის განვითარებისკენ.

ჩინეთმა აშშ-ს შესთავაზა დიადი სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ახალი ტიპის აშენება, რაც გულისხმობს, რომ ქვეყნები არ ჩაერთვებიან საერთო კომფლიქტებში, ანტოგონიზმზე უარს იტყვიან, და მიჰყვებიან ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პოლიტიკას. ურთიერთობის ასეთმა გაგებამ უკვე თანხმობა მიიღო აშშ-ს მხრიდან. წარსულში მიღებული წესები შეუძლებელია ეფექტურად იყოს გამოყენებული აწმყოში. ორი ბირთვული სახელმწიფოს ურთიერთობისას სამხედრო ძალის გამოყენება და მოწინააღმდეგის განადგურება მიუღებელია.

აშშ-სა და ჩინეთის ურთიერთობა არ არის მტრული და თუმცა ქვეყნებს შორის არსებობს რიგი წინააღმდეგობები, იგი ყოველმხრივ პოლიტიკურ თანამშრომლობას ხელს არ უშლის. ეკონომიკური კავშირები ამ ქვეყნებს შორის იმდენად ღრმაა, რომ პოლიტიკური ურთიერთობის მნიშვნელოვან სტაბილიზირებულ ფაქტორად იქცა. აშშ - ჩინეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. 2013 წელს ვაჭრობის მოცულობა მათ შორის მიუახლოვდა ჩინეთსა და ევროკავშირის ქვეყნების ვაჭრობის მოცულობას და მიაღწია 521 მლრდ დოლარს ან ჩინეთის სრული საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 12.5%. რუსეთის წილზე მოდის 2.1%. აშშ-სა და ჩინეთს შორის საერთო სავაჭრო ბრუნვამ გადააჭარბა 100 მლრდ დოლარს.

ჩინეთი აშშ-ის უმსხვილესი კრედიტორია და მეტისმეტად მნიშვნელოვან ბაზრად ითვლება. ეკონომიკური ზარალი ქვეყნებს შორის შესაძლო კომფლიქტის შექმნისას

იქნება იმდენად სერიოზული, რომ მათთვის რთული იქნება ზარალის შემცირების გზების მოპოვება. ჩინეთს და აშშ-ს შეუძლიათ სრულიად აარიდონ თავი ფართო მასშტაბურ წინააღმდეგობას, რადგან კრიზისის არიდებისა და კონტროლის ეფექტურ ინსტრუმენტებს ფლობენ. ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ორივე ქვეყანა პასუხისმგებელია მსოფლიო და რეგიონალურ სტაბილურობასა და განვითარებაზე. სავსებით შესაძლებელია, მომავალში ჩინეთისა და აშშ-ს ურთიერთობები შეიცავდნენ თანამშრომლობას და კონკურენციას, რაც დინამიკური წონასწორობის ფორმირებას მოახდენს. არ არსებობს საფუძველი, ჩაითვალოს, რომ ჩინეთსა და აშშ-ს შორის კონფლიქტი გარდაუვალია.

ჩინეთისთვის მისაღები არაა ბიცენტრალური მშვიდობის კონცეფცია ან აშშ-სთან საერთო მსოფლიოს მმართველობის იდეა. ქვეყანა გამოდის მრავალპოლარული მშვიდობის დასაცავად, საერთაშორისო კითხვებში გაეროს ცენტრალური როლის პრინციპის მხარდაჭერად და უპირისპირდება ერთი ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფების საერთაშორისო არენაზე დომინანტობის იდეას.

შესაძლოა, რომ მომავალში ჩინეთ-რუსეთ-აშშ-ს სამმხრივი ურთიერთობა სამკუთხედის ფორმა მიიღოს, რომელშიც ყველა მხარე დამოუკიდებელ როლს ითამაშებს. ასეთ ურთიერთობებში ჩინეთისა და აშშ-ს საერთო მცდელობა რუსეთის მდგომარეობის დაწიონ მიუღებელია. ანალოგიური ქმედება რუსეთისა და აშშ-ს მიერ ჩინეთის მხრივ ნაკლებ შესაძლოა მომავალში. „დიდი სამკუთხედი“-ს ფარგლებში გაჩნდება ურთიერთობის ტიპი, რომელიც ჰგავს რუსეთ-ჩინეთის თანამშრომლობას.

აღსანიშნავია, რომ რუსეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთობა „დიდი სამკუთხედის“ განუყოფელი ნაწილია. 2014 წლის სექტემბერში ჩინეთის თავმჯდომარისა სი ცზინპინის და რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის შეხვედრისას, ჩინეთის მხარემ სურვილი გამოხატა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დონის ამაღლებისა, ურთერთგაცვლის საფუძველზე განვითარების ახალი შესაძლებლობების შექმნასა და საგარეო გამოწვევებისა და საფრთხის წინაშე საერთო წინააღმდეგობის გაწევაზე. ჩინეთ-რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობა თავისი არსით არა საიერიშოა, არამედ თავდაცვითი.

რუსეთისა და ჩინეთის თანამშრომლობაში არ არსებობს პირველ და მეორეხარისხოვანი კითხვები. რუსეთი და ჩინეთი თანასწორუფლებიან პარტნიორებად გვევლინებიან, რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ვერც ჩინეთი და ვერც რუსეთი ვერ დაიკავებს დომინანტურ პოზიციას ან „უმცროსი ძმის“ როლს.

1.3 უცხოური ინვესტიციები რუსეთში

რუსეთში საინვესტიციო სიტუაციის საერთო ნიშანი

ფანინსური სტაბილიზაციის მიღწევა რუსეთში მჭიდროდ დაკავშირებულია საინვესტიციო მოცულობის ზრდის მოღვაწეობასთან. ცხადია, რომ რუსული ეკონომიკის ზრდა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა შეუძლებელია ეკონომიკის რეალურ სექტორში კაპიტალდაბანდებების გარეშე. რუსეთში ინვესტიციების საერთო მოცულობამ შეადგინა მშპ-ის 13%. წარმოების ინვესტიციების წილი ინვესტიციების საერთო წილში შეადგენს 55%-ს (სათბობ-ენერგეტიკული სექტორი - 40%), დანარჩენი ინვესტიციების 45% არის არაწარმოებადი - ძირითადად ეს ბინის მშენებლობის ინვესტიციებია. ინვესტიციების საერთო მოცულობის 20%-ს აქვს არასახელმწიფო წყაროები.

ინვესტიციების საჭიროების მთავარ კრიტერიუმებად ითვლება წარმოების ეფექტიურობის ზრდა და მოგების მაქსიმიზაცია.

ინვესტიციების დაფინანსების წყაროები შესაძლებელია ორ ჯგუფად დაიყოს: კერძო საკუთრება და სასესხო კაპიტალი. საწარმოების საკუთარი სახსრების წყაროები (ინვესტიციების საერთო მოცულობის 60%) არის საწარმოებისა და ორგანიზაციების დაგროვება. ამ სახსრების უკმარისობის შემთხვევაში საწარმოებს შეუძლიათ კაპიტალის მოზიდვა აქციების მეორადი ემისიის გზით. ინვესტიციების სხვა მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება ფედერალური და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები (ინვესტიციების საერთო მოცულობის 24%). უცხოური ინვესტიციები ჯერ არაა ფართოდ გავრცელებული

და შეადგენენ ინვესტიციების საერთო მოცულობის 3%-ს. რუსეთში ყველაზე ცუდადაა საქმე დაკრედიტების მხრივ კომერციული ბანკების მხრიდან -საერთო მოცულობის 2%-ზე ნაკლები.

საინვესტიციო სიტუაციების თავისებურებანი გარდამავალი პერიოდის პირობებში:

- როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციების მოცულობა მცირდება. მცირდება სახელმწიფო ინვესტიციების ხვედრითი წილი.
- საინვესტიციო სტიმულების ახალი სისტემა იქმნება, როცა გადამწყვეტ როლს თამაშობს არა ბრძანება ზემოდან, არამედ მოგების მიღების ორიენტირი. ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზზე დაფუძნებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების საბაზრო კრიტერიუმების როლი იზრდება.
- ეკონომიკაში შეიმჩნევა შემდეგი სტრუქტურული ცვლილებები: სამომხმარებლო საქონლის წარმოების ხვედრითი წონა იზრდება, საწარმოო დანიშნულების საქონლის გამოშვების შემცირებასთან ერთდროულად ; იზრდება მოთხოვნები გამოსაყენებელი ტექნოლოგიების ეფექტურობის მიმართ ; ეკონომიკის მონოპოლიზაციის დონე მცირდება.
- იქმნება დაფინანსების ახალი, პირველ რიგში არასახელმწიფო წყაროები.

საინვესტიციო აქტივობა და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი გავლენას ახდენს არა მხოლოდ სამუშაო ადგილების რაოდენობაზე, არამედ მათ სტრუქტურაზე. კაპიტალის ჩადების გადანაწილების დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა არის ეკონომიკის რეფორმაციის არჩეული კურსის შედეგი ისევე, როგორც ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის კონცეფცია.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა რუსეთის ეკონომიკაში არის ეკონომიკის მოდერნიზაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყარო. ეკონომისტების შეფასების მიხედვით, ქვეყნის მოთხოვნილება მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე შეადგენს არანაკლებ 10 მლრდ დოლარს წელიწადში. თუმცა, იმისათვის, რომ ინვესტორები ასეთ დაბანდებაზე წამსვლელები იყვნენ, საჭიროა გაცილებით დადებითი ცვლილებები ქვეყნის საინტვესტიციო კლიმატში. იგი ფაქტობრივად წარმოადგენს დეფოლტის

ალბათობის შეფასებას. რეიტინგები დგინდება სპეციალიზირებული სარეიტინგო კომპანიების მიერ.

სუვერენული საკრედიტო რეიტინგი [14]- სახელმწიფოს დროულად და მთლიან მოცულობაში თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულების მზადყოფნის შეფასების ინსტრუმენტია. მათ შორის უმსხვილესი სარეიტინგო კომპანიებია: Standard&Poor's (S&P), Moody's და Fitch.

დღესდღეობით, რუსეთისთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგები:

- Standard&Poor's – "BBB-" - სტაბილური პროგნოზით (მინიჭებულია 2018 წლის 23 თებერვალს
- Fitch – "BBB-" - პოზიტიური (მინიჭებულია 2017 წლის 23 სექტემბერს)
- Moody's – "Ba1" - პოზიტიური (მინიჭებულია 2018 წლის 25 იანვარს)

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Moody's" -მა რუსეთის საკრედიტო რეიტინგი აწია საინვესტიციო დონემდე 2019 წლის 9 თებერვალს. იგი რჩებოდა უკანასკნელ კომპანიად, რომელიც იკავებდა რუსეთის რეიტინგს დაბალ დონეზე. „Moody's" კომპანიამ აწია რუსეთის რეიტინგი "Ba1"- დან "Baa3"-მდე. პროგნოზი შეცვლილია პოზიტიური დონიდან სტაბილურამდე.

რუსეთის რეიტინგების ამაღლება ასახავს ბოლო წლების მანძილზე გატარებული პოლიტიკის პოზიტიურ გავლენას, რათა გაამლიეროს სახელმწიფოს ფინანსები და საგარეო მაჩვენებლები და ასევე ქვეყნის საგარეო შოკებისგან აარიდოს თავი დასუსტებისგან, ახალი სანქციების ჩათვლით.

„Moody's"-ის თვალსაზრისით, კონგრესის მხრიდან დამატებითი სანქციების დაწესების დიდი ალბათობაა მომდევნო თვეების განმავლობაში. ეს სანქციები გულისხმობს რუსეთის სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვისა და ფლობის აკრძალვას ამერიკელი ინვესტორებისთის. მაგრამ რუსეთის ხელისუფლების შესაძლებლობა გაუძლოს საგარეო შოკებს გაიზარდა საკრედიტო რეიტინების შემცირების 2015 წლის პერიოდიდან. საგარეო სექტორის მონაცემები (საერთაშორისო რეზერვები და

[14] https://tass.ru/info/6097213

საგადამხდელო ბალანსი) ახლა უკეთესია, ვიდრე იყო შარშან და 2014 წელთან შედარებით, როცა დაიწყო სანქციები - აცხადებს კომპანია.[15]

რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელის ანტონ სილუანოვის აზრით, შედეგი განპირობებულია რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული მაკროეკონომიკური, საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მაღალი ხარისხით. სამივე მსოფლიო სარეიტინგო კომპანია რეკომენდაციას ახდენს თავის კლიენტებს ივნესტიციები განახორციელონ რუსეთში. სილუანოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის ეკონომიკამ აჩვენა თავისი მდგრადობა საგარეო შოკების მიმართ, განვითარებად ბაზრებზე მერყეობის პერიოდში წინა წლის შემოდგომაზე, რომელიც რუსეთისთვის მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე ჩაიარა. „ის ფაქტი, რომ სამივე კომპანიამ მიანიჭა რუსეთისთვის საინვესტიციო რეიტინგი, ივესტორებსთვის, რომლებიც განიხილავენ შესაძლებლობას ჩადონ კაპიტალი ჩვენს ქვეყანაში, გახდება დამატებითი დადებითი არგუმენტი.“ - განაცხადა სილუანოვმა. მან დაპირდა, რომ ხელისუფლება თავისი მხრიდან მომავალი რეიტინგის გაუმჯობესებისათვის ახალ წინაპირობებს შექმნის.

რუსეთის ინვესტიციების სტატისტიკა

რუსეთისთვის მნიშვნელოვან საკითხად ითველება საწარმოო სიმძლავრეების განახლება. უმეტესობა საბჭოური ეპოქიდან მემკვიდრეობის სახით გადაეცა და ათწლეულების შემდგომ საწარმოებს განახლება ესაჭიროება. ახლანდელ მესაკუთრეებს არ ჰყოფნით საკუთარი სახსრები მწარმოებლურობის ხელახლა ამუშავებისთვის. გარდა ამისა, რიგი კომპანია იმყოფება ცუდ მდგომარეობაში ბოლო წლების კრიზისის შემდეგ. ამიტომაც, რუსეთის მხარეს აინტერესებს ფინანსური დაბანდების ყველა დონე:

- საწყისი ინვესტიციები - ვენჩურული პროექტები, ახალი კომპანიებისა და საწარმოების ამუშავება ;

[15] https://www.rbc.ru/economics/09/02/2019/5c5df8009a79473fda4e4d9f

- რეინვეტიციები - განმეორებითი ჩადება ბიზნესში, მისგან მიღებული მოგებისგან
- ინვესტიციები ბიზნესის გაფართოებისთვის - ახალი და მომიჯნავე დარგების შესწავლა
- ინვესტიციები ბიზნესის ნაწილობრივი ცვლილებისთვის - მოდერნიზაციის, რეორგანიზაციისა და არსებული კომპანიების დივერსიფიკაციისთვის.

ინვესტიციების დინამიკა ძირითად კაპიტალში 1990-2018 წწ., „როსსტატის“ მონაცემებით:



16

1990 წლიდან დაწყებული, თითქმის 30 წლის განმავლობაში, ინვესტიციების მოცულობა ძირითად კაპიტალში ჯერ ვერ აღადგინდა წინა დონემდე. აღდგენა შეწყდა 2008-2009 წლების კრიზისის პერიოდში. იმ დროიდან მრავალგან მიმართულმა ინვესტიციების დინამიკამ ძირითად კაპიტალში არ მიიყვანა შესამჩნევ დადებით

[16] https://www.fbk.ru/upload/docs/Investments_report.pdf

შედეგამდე. ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობა 2018 წელს იყო 26.4%-ით ნაკლები 1990 წლის დონესთან შედარებით.

მიუხედავად ამისა, ძირითადი კაპიტალის ინვესტიციების დინამიკის რუსეთის მაჩვენებლები საშუალო მსოფლიოზე მაღალია. საშუალოდ, მსოფლიოში ინვესტიციების ნაზრდის ტემპებმა ძირითად კაპიტალში 2007-2016 წლების პერიოდში შეადგინეს +1.5%, ხოლო რუსეთის ინვესტიციების ნაზრდი ამ წლებში, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, შეადგენდა საშუალოდ 3.4% -ს ყოველწლიურად.

პირდაპირი ინვესტიციები რუსეთში და რუსეთიდან ; მლრდ.დოლარი[17]



რუსეთიდან საზღვარგარეთ

რუსეთში საზღვარგარეთიდან

რუსეთში ინვესტიციების სუფთა შემოდინება

[17] რუსეთის ბანკი ; რბკ, 2019

რუსეთი ნაკლებ მიმზიდველია.

ცენტრობანკის ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ უცხოური ინვესტიციების შემცირება რუსეთის ეკონომიკაში სამამულო სავალდებულო ინსტრუმენტებში დაბანდებების სახით და რუსული კომპანიების კაპიტალში მონაწილეობის სახით - ფაქტორია, რომელიც ეკონომიკური ზრდის ამაღლების პოტენციალს აბრკოლებს.

„ვფიქრობ, რომ დეოფშორიზაციის საკითხი არც თუ ისეთი მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის. მათ ჰქონდათ მაღალი მაჩვენებელი 1998-2008 წლების პერიოდში, როცა ოფშორებზე დიდად არავინ საუბრობდა, ხოლო მათი მაჩვენებელი დაეცა ბოლო დროს, როცა მთელს მსოფლიოში ოფშორები ბლომადაა. ალბათ, თვითონ დეოფშორიზაცია არ გახდა მასობრივი - მხოლოდ რამდენიმე რუსული კომპანია დაბრუნდა, ასე რომ პირდაპირი ინვესტიციების მამოძრავებელი იგი არ იყო“ - თვლის ფინანსური ტექნოლოგიებისა და ციფრული ეკონომიკის „სკოლკოვო-რეშ“-ის აკადემიური დირექტორი ოლეგ შიბანოვი.

„ეს ნიშნავს, რომ კერძო კომპანიები ნაკლებად არიან დაინტერესებულები რუსეთის ბაზარში - აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით. მთავარი სირთულეა - მაკრო გარემოში. რუსეთი იზრდება სხვა განვითარებად ქვეყნებზე ნელა, ამიტომაც ბაზარიც ნაკლებ საინტერესოა. უნდა გავაანალიზოთ, რომ შემოდინების შენელება და ინვესტიციების გადინება შეეხება ყველა განვითარებად ქვეყანას აშშ-ჩინეთის ურთიერთობების კრიზისის ფონზე.“-აგრძელებს შაბანოვი.

დასავლურ სანქციებამდე და დეოფშორიზაციის სახელმწიფო კომპანიამდე, პირდაპირი ინვესტიციების 60-80% რუსეთში მიდიოდა ოფშორებზე, სადაც ისინი მანამდე იყვნენ გაგზავნილი რუსეთიდან - შეაფასა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის (РАН) ეკონომისტმა ბორის ხეიფეცმა.

2016 წლის შედეგების მიხედვით, რუსეთი შევიდა ქვეყნების ხუთეულში - ოფშორულ ზონებში უმსხვილეს ინვესტორებს შორის. - წერდნენ რუსეთის სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო სამსახურის აკადემიის ეკონომისტები. ყველაზე პოპულარულ ოფშორად კვიპროსი ითვლებოდა - სადაც მიდიოდა საზღვარგარეთ რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების 30%. რუსეთის კაპიტალის დაბრუნების საჭიროების შესახებ

საერთაშორისო ოფშორებიდან განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 2011 წელს, ხოლო 2015 წელს იყო ხელმოწერილი კანონი კაპიტალის პირველი ამნისტიის შესახებ, რომელმაც გაანთავისუფლა დეკლარანტები ეკონომიკური საქმიანობის პასუხისმგებლობისგან.[18]

ინვესტიციების დონე რუსეთში იკლებს

საერთაშორისო სანქციების და რუსეთში ეკონომიკური ზრდის ფონზე 2018 წელს იყო პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების შესამჩნევი შემცირება.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2018 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება შემცირდა 25.8 მლრდ დოლარიდან 2.4 მლრდ დოლარამდე - 11 ჯერ. ამასთან, არარეზიდენტების პირდაპირი ინვესტიციები მესამე კვარტალში შემცირდა 6 მლრდ დოლარად.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რუსეთში

2007-2018 ; კვარტლურად ; მლრდ დოლარი



კაპიტალი ტოვებს რუსეთს

2018 წელს შესამჩნევად გაიზარდა კაპიტალის გადინებს ქვეყნიდან. რუსეთის ბანკის მონაცემების მიხედვით, 2018 წლის იანვრის-ოქტომბრის კაპიტალის წმინდა გადინებამ

[18] https://www.rbc.ru/economics/13/05/2019/5cd981989a7947252f589b47

შეადგინა 42.2 მლრდ დოლარი, რაც 3.5 ჯერ მეტია 2017 წლის იგივე პერიოდის 12 მლრდ დოლართან შედარებით. ამ თანხის ნახევარი მოდის საზღვარგარეთ საერთაშორისო აქტივების შეძენაზე.

კაპიტალის გადინების საერთო დონე ფასდება ცენტრობანკის მიერ 66 მლრდ დოლარად წლის შედეგების მიხედვით.

კაპიტალის გადინება ; მლრდ. $



[19]

ასევე შეიმჩნევა კაპიტალის გადინება საფონდო ბაზრიდან. უცხოურმა ინვესტორებმა გამოიტანეს 1 მლრდ დოლარზე მეტი რუსეთის ბაზარზე ორიენტირებული ფონდებიდან. BofAMerrillLynch - ის მონაცემებით, ეს ყველაზე დიდი სახსრების გამოყვნაა რუსული ფონდებიდან, 2013 წლიდან დაწყებული.

რუსეთიდან სახსრების გადინების ფონზე, ფულის შემოდინებამ ჩინეთის ფონდში შეადგინა 31 მლრდ დოლარი, ბრაზილიაში - 0.5 მლრდ დოლარი.

ინვესტიციების დონის შემცირება ქვეყანაში შეანელებს მომდევნო წლებში რუსეთში შემდგომი ეკონომიკურ განვითარებას.

[19] https://www.rbc.ru/economics/13/05/2019/5cd981989a7947252f589b47

1.4 რუსეთის ადგილი საერთაშორისო რეიტინგებში

199-ე ადგილი უნივერსიტეტების რეიტინგებში

სად ვისწავლოთ? ამ კითხვაზე პასუხს გასცემს ბრიტანეთის მასმედია Times Higher Education, რომელსაც აქვს გლობალური მიდგომა - მთელი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებს ითვალისწინებს (1250-ზე მეტი). უნივერსიტეტები ფასდებოდა 13 კატეგორიით, მათ შორის სწავლების ხარისხით, სამეცნიერო კვლევის მოცულობით, მისი შედეგებისა და სამეცნიერო საზოგადოების შეფასებით, ციტირების ინდექსით, სხვა ქვეყნებიდან სტუდენტების სწავლების შესაძლებლობით და ა.შ.

ყველაზე მაღალი ადგილი აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს (199), შემდეგ მოდის მოსკოვის ფიზიკა-ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (251) და ეკონომიკის უმაღლესი სკოლა (350). ამ რეიტინგში შევიდა კიდევ ხუთი რუსეთის უნივერსიტეტი, ხოლო დანარჩენებმა აიმაღლეს პოზიციები.

154-ე ადგილი მშვიდობისმოყვარეობის გლობალურ ინდექსში

მსოფლიოში ცხოვრებისთვის ყველაზე უსაფრთხო ქვეყნები განსაზღვრულია სიდნეის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის ექსპერტების მიერ. გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები:

- სამხედრო კონფლიქტები
- სამხედრო ოპერაციებზე ხარჯები
- მილიტარიზაციის საერთო დონე
- ლტოლვილების რიცხოვნობა
- დანაშაულის დონე
- მოსახლეობის მოქალაქეობრივობის თავისუფლების დონე
- პოლიტიკური სისტემის მდგრადობა და სხვა კრიტერიები

ამ რეიტინგის მიხედვით, რუსეთი იმყოფება ბოლო ათეულში 163 ქვეყნებს შორის და უსწრებს მხოლოდ კონგოს, ავღანეთს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას და სირიას, რომელსაც ბოლო ადგილი უკავია.

110-ე ადგილი ქველმოქმედების დონის მიხედვით

გელაპის ინსტიტუტი ყოველწლიურად აგროვებს მონაცემებს მსოფლიოში 150-ზე მეტ ქვეყანაზე და აფასებს მათ შესაძლებლობასა და სურვილს დაეხმარონ ხელმოკლეებს- როგორც საკუთარ მოსახლეობას შორის, ასევე მის ფარგლებს გარეთ. რეიტინგის საფუძველია - ზეპირი გამოკითხვა. შემთხვევით არჩეულ რესპონდენტებს უსვამდნენ კითხვებს, რამდენად ხშირად აკეთებენ ისინი ფულად შემოწირულობებს ან მუშაობენ მოხალისეებად არაკომერციულ ორგანიზაციებში. რუსეთს მთლიანობაში არ აქვთ მიდრეკილება თავიანთი შრომით მიღებული ფულის გადაყრისკენ, რის გამოც რუსეთი იმყოფება სიის ქვედა მესამედში. მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები ყოველთვის არიან მზად დაეხმარონ უცხოს. როგორც განაპირობებს გამომკითხველთა 44% ისინი ეხმარებოდნენ უცხოებს გამოკითხვის წინადღეს. მოხალისეების რიცხვი კი იკლებს წინა წელთან შედარებით იგი შემცირდა 1 %-ით.

104-ე ადგილი საავტომობილო გზების ხარისხის რეიტინგში

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების მიხედვით რუსეთი იკავებს 104 ადგილს 140 ქვეყანა მონაწილეებს შორის გზების ხარისხის რეიტინგში. ქვეყნის საერთო რეიტინგია -3.3 მაქსიმალურად შესაძლო - 7. 7 ქულა არ აუღია არც ერთ ქვეყანას მსოფლიოში. მაქსიმალური მაჩვენებელი აქვს სინგაპურს - 6.4 ქულა.

96-ე ადგილი კეთილდღეობის რეიტინგში

Legatum Institute ვერსიის თანახმად, რუსეთი არც თუ ისე ყვავის. მისი ადგილი არის სიის ქვედა მესამედში 149 ქვეყანა-მონაწილეებს შორის. ეს რეიტინგი ცდილობს ააშენოს ქვეყნის პროფილი და განაპირობოს მისი ადგილი სხვებს შორის 9 კრიტერიუმის

მიხედვით, რომელთაგან თითოეული იმსახურებს თავის ცალკეულ გამოკვლევას. აქ შედის როგორც ეკონომიკის განვითარების დონე, ბიზნეს-მაჩვენებლები, ასევე მოქალაქეების შესაძლებლობა მიიღონ განათლება, სამედიცინო დახმარება, სახელმწიფოსგან დახმარება, შესაძლებლობა ამავე ქვეყნის გაკრიტიკება და ასევე ეკოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ 96 ადგილი არ არის დამაკმაყოფილებელი, ადრე ის უარესი იყო- 2006 წლიდან დაწყებული რუსეთი ნელა ადის მაღლა და ახლა გააუმჯობესა თავისი შედეგი 12 პუნქტით.

53-ე ადგილი ჯანდაცვის რეიტინგში 2018

Bloomberg-ი ქვეყნებს ანაწილებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცის, გაეროს ქვედანაყოფების და მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით. ქვეყნების ქულების დაგროვება და დაკარგვა დამოკიდებულია მოქალაქეების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რამდენს გამოყოფს სახელმწიფო ჯანდაცვის საჭიროებაზე, ასევე რამდენი უნდა დახარჯოს საშუალო დონის მაცხოვრებელმა, რომ განიკურნოს. თუმცა არა ყველა ქვეყანა ღირსია მოხვდეს რეიტინგში, Bloomberg-ი ითვალისწინებდა მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა ხალხის სიცოცხლის ხანგრძლივობა 70 წლიდან იწყებოდა, მშპ ერთ სულ მოსახლეზე არანაკლებ 5000 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობა - 5 მლნ ადამიანისგან შედგებოდა. რუსეთი რეიტინგში იმყოფება 53-ე ადგილას, 2 პოზიციით უფრო მაღლა 2017 წელთან შედარებით და უსწრებს აშშ-ს. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ქვეყანაში გაიზარდა 71.2 წლამდე.

52-ე ადგილი მსოფლიო ეკოლოგიის რეიტინგში

იელის უნივერსიტეტის ექსპერტების მიერ შედგენილი Environmental Performance Index აფასებს 180 ქვეყანას 24 კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც ორ კატეგორიად არის დაჯგუფებული - გარემოს გავლენა ცხოვრებაზე და ქვეყანაში მცხოვრებ ხალხის ჯანმრთელობაზე და ეკოსისტემების სიცოცხლისუნარიანობაზე. მთლიანობაში რუსეთის შედეგები არც თუ ისე ცუდია. საშიშროებას იწვევს ძირითადად ბუნებრივი

რესურსების არაკონტროლირებადი გამოყენება, ძირითადად თევზის დაჭერა. ამ მაჩვენებლების მიხედვით რუსეთი იმყოფება სიის ბოლოში.

43-ე ადგილი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში

Global Competitiveness Report 2018 წლის იყო შედგენილი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების მიერ. ეს არაკომერციული ორგანიზაციაა, სადაც მსხვილი ფინანსური გიგანტები, სახელმწიფოების ლიდერები, პოლიტიკოსები და ასევე მედია-პერსონები მყუდრო გარემოში განიხილავენ თანამედროვე პრობლემებს. თვითონ ინდექსი აჩვენებს, რამდენად ეფექტიურად ქვეყანა მართავს თავის რესურსებს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობის შენარჩნებისათვის. შეფასების კრიტერიუმში ეკონომიკურის გარდა სოციალური მაჩვენებლებიც შედის - ჯანდაცვა, სამუშაო ბაზარზე შესაძლებლობები, განათლება და მრავალი სხვა. 43 ადგილი რუსეთისთვის - უკან დახევაა, წინა წელს ის იყო 38 ადგილზე. თუმცა, ეს აშკარა პროგრესია 2005 წელთან შედარებით, როცა რუსეთმა ძლივს მიაღწია 70-ე ადგილს.

43-ე ადგილი ადამიანური განვითარების ინდექსის მიხედვით

ყოველწლიურად გაეროს ერთ-ერთი ქვედანაყოფი, რომელსაც ჰქვია „განვითარების პროგრამა“ აქვეყნებს ანგარიშს - „კაცობრიობის განვითარების ანგარიში“. ანგარიშის შედგენის მიზანია - რით განსხვავდებიან განვითარებული ქვეყნები განვითარებადისგან. ქვეყნები ფასდება მრავალი კრიტერიუმის მიხედვით, რომლების უმეტესობა მიეკუთვნება სოციალურ სფეროს

- სიცოცხლის ხანგრძლივობა
- სამედიცინო დახმარებისა და განათლების მიღების შესაძლებლობა
- ცხოვრების საერთო დონე
- თანასწორი უფლების დონე სქესებსა და ერებს შორის და ასე შემდეგ

რუსეთი იმყოფება ცხოვრებისთვის ტოპ-50 საუკეთესო ქვეყნებს შორის.

37-ე ადგილი მილიარდერების რეიტინგში

Bloomberg-ის მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებულ მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში რუსეთის მდიდარი ხალხის ადგილი 37-ე ადგილიდან იწყება. თუ ამერიკელებმა შესძლეს თავიანთი ქონების გაზრდა 7.5%-ით, რუსებმა გაზარდეს 11%-ით.

31-ე ადგილი ბიზნესის მართვის პირობების მიხედვით

Doing Business 2018 -ინდექსი, რომელიც შედგენილია მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ. ამ ორგანიზაციის არსებობის მიზანია - დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს. გარდა ამისა იგი ასევე ადგენს რეიტინგებს რომელ ქვეყანაშია უფრო მარტივი საქმის წამოწყება ან ბიზნესის კეთება. პირველ რიგში, რეიტინგი ეყრდნობა მრავალრიცხოვან გამოკითხვას, რომლებსაც ატარებენ 12 ათას კაცისთვის 190-ზე მეტ ქვეყანაში. 7 წლის წინ რუსეთი იკავებდა 124 ადგილს.

25-ე ადგილი ინოვაციების რეიტინგში

Bloomberg-ის სააგენტოს ვერსიის მიხედვით, მთლიანობაში სიტუაცია რუსეთში არ არის ცუდი. ქვეყნები ფასდებიან რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით - გატარებული გამოკვლევების რაოდენობისა და ხარისხის (როგორც მეცნიერების, ასევე ინჟინერიის დარგში), მაღალი ტექნოლოგიების და მათი გავრცელების არსებობის და ასევე ამ ქვეყნისთვის ხელის შეწყობის მიხედვით. ყველაზე კარგი მაჩვენებელი რუსეთს ჰქონდა 2014 წელს, 200 ქვეყანას შორის.

მე-2 ადგილი შეიარაღების რეიტინგში 2018

Global Fire Power-ის მიხედვით რუსეთი ადგილს უთმობს მხოლოდ აშშ-ს. მსოფლიოს ყველაზე ძლიერი არმიის რეიტინგში შეფასება კეთდებოდა 55 კრიტერიუმის საფუძველზე. ხალხის რიცხოვნობის, გემების, თვითმფრინავებისა და ტანკების გარდა, ითვალისწინება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. რუსეთს უკვე უახლოვდება ჩინეთი.

2. რუსეთ-საქართველოს თანამედროვე სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები

2.1. რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ

რუსეთსა და საქართველოს შორის პოსტსაბჭოური ეკონომიკური ურთიერთობების თემას რუსულმა გაზეთმა „მოსკოვის ამბები“ მიუძღვნა სპეციალური სტატია. სტატიაში საუბარია ძირითადად რუსეთსა და სომხეთს შორის დამაკავშირებელ სამ ობიექტზე: გაზსადენზე, რკინიგზაზე და სახელმწიფო ეკოსისტემებზე. საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლობით, ამ კომპანიების 100% სახელმწიფოს ეკუთვნის. მთავრობის ჯგუფის გეგმის მიხედვით, (და რასაკვირველია ამას მხარეს დაუჭერს დეპუტატების უმრავლესობა), უნდა იყოს დაშვებული გამონაკლისი სამი კომპანიის მიმართ და მათი აქციები უნდა იყოს გაყიდული უცხოელებზე. ეს ის ობიექტებია, რომლის მიმართ მოსკოვმა ინტერესი გამოაჩინა ჯერ კიდევ 2008 წლამდე. ბუნებრივი იქნება, თუ ამ აქციების ყიდვის სურვილი პირველად რუსეთს ექნება.

„გაზპრომის“ ხელმძღვანელმა სერგეი კუპრიანოვმა „მოსკოვის ამბებთან“ საუბრისას განაცხადა, რომ რუსეთის კომპანიას ესაჭიროება საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენი, რომელიც აკავშირებს რუსეთსა და სომხეთს, და მისი შეძენა კომპანიისთვის იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი. რუსეთის გამოცემა ასევე წერს, რომ „გაზპრომი“ მზად იყო ეყიდა გაზსადენი მაშინ, როცა მის გაყიდვას აპირებდა მაშინდელი საქართველოს მინისტრი კახა ბენდუქიძე. რუსეთის კომპანია ქართულ მხარეს სთავაზობდა 150 მლრდ დოლარს, მაგრამ ეს გარიგება იყო ჩაშლილი აშშ-ს ძალისხმევით, რომლებსაც არ აწყობდათ რუსეთს დაეწესებინა მონოპოლია საქართველოს ენერგო გადამზიდავებზე. ცხადია, მდგომარეობა შეიცვალა.

იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს რკინიგზის შესახებ. რუსეთის რკინიგზის ყოფილმა ხელმძღვანელმა ვლადიმირ იაკუნინმა 2004 წელს განაცხადა, რომ მზად იყო საქართველოს რკინიგზის პრივატიზაციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ეს კითხვა პასუხის გარეშე რჩება, დიდი ალბათობაა იმისა, რომ მის მიმართ ინტერესი დიდია. თავის დროზე რუსეთმა მოიპოვა სომხეთის რკინიგზის

მართვის უფლება და ახლად შექმნილ შვილობილ კომპანიას დაარქვა „აღმოსავლეთ კავკასიის რკინიგზა“.[20]

რუსეთის მონაწილეობა საქართველოს სტრატეგიული ობიექტების მომავალ ტენდერებში უდავოა რუსეთის ერთ-ერთი დიპლომატის თქმით, რომელმაც „მოსკოვის ამბების“ ინფორმაციის თანახმად გადაწყვიტა ინკოგნიტოდ დარჩენილიყო. მისი აზრით, „რუსეთს აქვს ისტორიული გამოცდილება ერთიანი საკომუნიკაციო სივრცით მართვა პოსტსაბჭოურ ტერიტორიაზე. ასეთ ტენდერებში მონაწილეობის მიღება ხელს შეუწყობს რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობებს, რადგან დრო ყველაფრის მკურნალია.“

მაგრამ ეს მხოლოდ რუსი დიპლომატის აზრია, თუმცა რა საფრთხეს შეუქმნის ეს პროცესები საქართველოს , სხვა შეკითხვაა, რომელიც ფართო გააზრებას ითხოვს.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს პოსტსაბჭოური ურთიერთობების უფრო პარადოქსულ შემადგენელ ნაწილს. პირობებში, როცა პოლიტიკური ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის პრაქტიკულად არ არსებობს, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კრიზისის პერიოდების მიუხედავად, არ წყდებოდა. ამ კონტაქტის მთავარი ნიადაგი ისაა, რომ საქართველო არის სამუშაო ძალის ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორი, ხოლო რუსეთი არის ინვესტიციების ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორი საქართველოში. მაგალითად, ჯერ კიდევ 2005 წელს (მანამ, სანამ რუსეთმა შემოიღო სანქციები ქართულ პროდუქციაზე), რუსეთიდან საქართველოში იყო გადმორიცხული 240 მლნ აშშ დოლარი, რომლებმაც შეადგინეს ყველა გადარიცხვის 59.6%.

მეტად სერიოზული დანაკარგი საქართველოს ეკონომიკისათვის მოუტანა რუსეთის ემბარგომ პროდუქტების შემოღებაზე, რომლებიც უმეტესწილად ორიენტირებულნი იყვნენ რუსეთის ბაზარზე. პირველ რიგში ესაა „ბორჯომი“ და ქართული ღვინო, რომლებიც აკრძალვის მოხსნის შემდგომაც კიდევ დიდხანს ვერ დაიბრუნეს დაკარგული პოზიციები, ხოლო სრული აკრძალვის პერიოდში მწარმოებლებმა გადაიტანეს

[20] რუსეთის კვლევების ქართული ინსტიტუტი

მნიშვნელოვანი დანაკარგები. მაგრამ, მთლიანობაში ექსპორტსა და იმპორტზე რუსეთის ემბარგომ ნაკლებად იმოქმედა და ექსპორტი გაიზარდა, რადგანაც მწარმოებლებმა მოიპოვეს უფრო აქტუალური და ამასთან უფრო მომგებიანი გასაღების ბაზრები. ქართველი ანალიტიკოსები ეკონომიკის დარგში მთლიანობაში არ აფასებენ რუსეთის ბაზარს საქართველოსთვის როგორც პანაცეას. ამასთან დე-ფაქტო ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა ემბარგოს პერიოდშიც და გარიგებები ხორციელდებოდა მესამე პირების მეშვეობით. მთლიანობაში ქართველი სპეციალისტების მიხედვით, ეკონომიკის სივრცეში რუსეთის როლი არც თუ ისეთი დიდია, თუმცა სრულიად არ უნდა მოხდეს რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური კავშირების იგნორირება.

რუსეთ-საქართველოს დიალოგი საგარეო ურთიერთობის მინისტრის მოადგილის გიორგი კარასინისა და პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის დონეზე აღდა 26 თებერვალს. ოთხ თვიანი პაუზა შეწყდა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების პრაღის პროცესის დროს. დიპლომატიური კონტაქტის შედეგი, როგორც წინა შეხვედრებზე, მყარდებოდა სახელმწიფოთაშორისო კლიმატის გაუმჯობესების გარშემო, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ დონეზე. ამჯერად, მხარეებმა მოახდის კონცენტრაცია საბაჟო შეთანხმების ადმინისტრირებისა და საქონლის ვაჭრობის მონიტორინგის რეალიზაციაზე 2011 წლიდან. მხარეებმა დაამტკიცეს ორმხრივი სწრაფვა დაასრულონ ეს საქმე უახლოეს დროში. დიალოგის გაგრძელება მოიცავდა კონკრეტულ კითხვებს რუსეთ-საქართველოს კავშირების ნორმალიზაციის ისეთ მიმართულებაზე, სადაც დიპლომატიური ურთიერთობების არ არსებობის დროს შეიძლება იყოს პროგრესი, განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთვაჭრობა ამყარებს ახალ რეკორდებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ორმხრივი ვაჭრობის დამატებითი მექანიზმების სტიმულირებას. შეხვედრის ჩატარებამდე, საქართველოს ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ გამოხატა სურვილი პრაღის დიალოგის გაგრძელების დროის შეთანხმება, რათა ჟენევაში პოლიტიკურ დისკუსიებს შეათავსოს.

რუსეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური მაჩვენებლები ჯერ-ჯერობით შორსაა იმ წერტილისგან, რის შემდეგაც მხარეები დაზღვეულები იქნებიან ახალი კონფლიქტისგან. მაგალითისთვის, რუსეთმა და საქართველომ იძულებულია იოცნებონ ურთიერთვაჭრობასა და ინვესტიციების ისეთ მოცულობაზე, რომლებმაც მიაღწიეს ჩინეთმა და ტაივანმა ბოლო წლებისა და ათწლეული კონფლიქტის შემდეგ. მაგრამ ზუსტად ამ ახალი ომის საშიშროების მოხსნის ალგორითმმა, სავაჭროეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციალის ზრდით, საშუალება მისცა პეკინსა და ტაიბეის „ცხელი“ კონფლიქტის რისკის მინიმიზაცია. ორი ჩინეთის მაგალითი ყველაფერში არ გამოადგება რთული სახელმწიფოთაშორისი კონფიგურაციებისთვის კავკასიაში. ყურადღება უნდა მივაქციოთ მეზობლების ურთიერთობის კულტურულ-ისტორიულ მხარეს. საქართველო იმყოფება ყველაზე მჭიდრო პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც რუსეთის ურთიერთობა იდეალურისგან შორსაა. საქართველოს უდიდეს სამხედრო-ეკონომიკურ მოკავშირედ ითვლება აშშ, ხოლო მთავარ სავაჭრო პარტნიორებად - თურქეთი და აზერბაიჯანი. ამას თუ დავუმატებთ რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს მცდელობა გააძლიეროს თავისი პოზიციები რეგიონში, მაშინ სამხრეთ კავკასიის ძალების და ინტერესების კომპოზიცია „ჩინეთის პრეცენდენტზე“ უფრო რთული ხდება.

რუსეთი, რომელიც 2013 წელს იყო საქართველოს მეოთხე უმსხვილესი პარტნიორი, 2014 წელს გადაადგილდა მესამე ადგილზე. რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 852.6 მლნ დოლარი, რაც 9.5%-ით მეტია 2013 წელთან შედარებით. მთლიანობაში რუსეთზე მიდიოდა საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბრუნვის 7.4%. საქართველოს ექსპორტი რუსეთში გაიზარდა 44.1%-ით და შეადგინა 275 მლნ დოლარი.

2015 წლის პირველმა თვემ ცოტაოდენით შეანელა რუსეთისა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის ზრდის ტემპები, მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობის აქტივიზაციის ტენდენციებმა არ გააქრო თავისი პოტენციალი.

2008 წლის ომმა გაისროლა მოსკოვსა და თბილისს პრაქტიკულად ორმხრივი ურთიერთობის „ნულოვან ნიშანთან“. დიპლომატიური კავშირების გაწყვეტა, სავაჭრო წარმომადგენლობების არ არსებობა, საქართველოს გასვლამ დსთ-დან გაართულეს

ეკონომიკური თანამშრომლობა. მხარეებმა იპოვეს რესურსები სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების „კომადან“ გამოსაყვანად, გასული ექვსი წლის განმავლობაში მიაღწიეს მნიშვნელოვან შედეგებს. ამაში, უდავოდ როლი ითამაშა კარასინისა და აბაშიძის დიალოგმა, როგორც ერთ-ერთი დამტკიცება მეზობლების სრული შერიგებისადმი ამოუწურავი პოტენციალის.

საქართველო დათანხმდა რუსეთის WTO-ში შესვლაზე (2012) იმის შემდეგ, რაც თბილისმა და მოსკოვმა შვეიცარიის შუამავლობით 2011 წლის ნოემბერში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს კომპლექსური მეთვალყურეობისა და აუდიტის სისტემის შექმნას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გავლით ტვირთის გადაზიდვაზე. შეთანხმება ვარაუდობს „ნეიტრალური კერძო კომპანიის“ მოზიდვას ტვირთის მონიტორინგის განხოციელების მიზნით სამი სავაჭრო დერეფნის გავლით. მათ შორის ორი მდებარეობს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, მესამე კი - ყაზბეგი-ზემო ლარსში. მონიტორინგის განხორციელებისათვის იყო არჩეული შვეიცარიის კომპანია SGS.

რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 2013-2018 წლების პერიოდში შეადგინა 5.15 მლრდ დოლარი. მთავარი სავაჭრო ბრუნვა მიდიოდა საკვებ პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოზე (27%) , ასევე მინერალური პროდუქტებზე (18%).

რუსეთისთვის საქართველო არის პარტნიორი N. 70 0.1% წილით. ინვესტიციების საერთო მოცულობამ რუსეთიდან საქართველოს ეკონომიკაში 2003 წელს შეადგინა 42.7 მლნ დოლარი, 2004 წელს - 43.7 მლნ, 2005 წელს - 38.7 მლნ. 2006 წელს - 34.2 მლნ, 2007 წლის სამი კვარტლის მიხედვით - 55.9 მლნ აშშ დოლარი. აქედან გამომდინარე არასრული ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის კაპიტალდაბანდებების საერთო მოცულობამ საქართველოში მიაღწია 215.2 მლნ აშშ დოლარს.

ღვინო- პირველია, რაც გვახსენდება რუსეთსა და საქართველოს შორის საქონელბრუნვის ხსენებისას. მართლაც მასეა: მიწოდების ნახევარი მოდის მეღვინეობის დარგზე. ამასობაში საქართველო ყიდულობს უფრო მეტ სახსრებზე ხორბალს და ნავთობს. „ვესტი ეფემ“-ის კორესპონდენტმა სერგეი არტიომოვმა შეისწავლა ორივე ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა. საბაჟოს აქტუალური მონაცემები

აჩვენებენ, რომ ორი ქვეყნის საქონელბრუნვამ წელიწად ნახევრის განმავლობაში, 2017 წლის იანვრიდან 2018 წლის ივლისამდე, შეადგინა 1 მლრდ 900 მლნ დოლარი. რუსეთისთვის საქართველო ხდება მნიშვნელოვნობით 63-ე სავაჭრო პარტნიორი. რუსეთის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში საქართველოში და უკან მიწოდების წილმა შეადგინა 0.2%.

იმ ქვეყნებს შორის, რომლებთანაც რუსეთს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, საქართველო ლიდერია კომერციული გარიგებების მიხედვით. რუსეთიდან ექსპორტი შეადგენს 1 მლრდ 300 მლნ დოლარს ერთობლივად, ორჯერ აღემატება რუსეთის შესყიდვების მოცულობას საქართველოში - შესაბამისად 602 მლრდ დოლარს. უფრო მეტიც, რუსეთი არის ქართული პროდუქციის გასაღების მთავარი საგარეო ბაზარი.

2019 წლის იანვარი-ივნისის მონაცემებით საქართველოს ექსპორტმა რუსეთში შეადგინა 261.276 მლნ $. იმპორტმა რუსეთიდან შეადგინა 416.486 მლნ $. საქონელბრუნვამ - 677.763 მლნ $. რუსეთი საქართველოსთვის მე-2 სავაჭრო პარტნიორია თურქეთის შემდეგ.

რა არის ურთიერთვაჭრობის მთავარი პოზიციები ამ პერიოდის განმავლობაში? რუსეთიდან საქართველოში ნავთობისა და ნავთობ პროდუქტების მიწოდების შეადგენს 292 მლნ დოლარს. მეორე პოზიციაზეა - მცენარეული წარმოშობის პროდუქტები - 187 მლნ დოლარს. მათ შორის 90% - მარცვლოვანი. კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქო - 165 მლნ დოლარზე. თითქმის თანაბარ ნაწილებად აქაა: ფაფები, საკონდიტრო ნაწილები, სიგარეტები და კაკაო. რუსეთის მიწოდების კიდევ ერთი პარტია, რომელიც აღემატება 100 მლნ დოლარს - 159 მლრ დოლარი - მოდის მანქანებზე, სამრეწველო აღჭურვილობაზე და აპარატურაზე.

რუსეთში მიწოდებული ქართული საქონლის სტრუქტურაში, მკვეთრად გამოყოფილია ლიდერების სამეული. თითქმის 50%, 289 მლნ დოლარი შეადგინა კვების პროდუქციამ. როგორც საბაჟო სტატისტიკაშია ნათქვამი, 99% მათ შორის - ალკოჰოლის და უალკოჰოლო სასმელებია. მეტად მასიურად რუსეთში იყიდება „წინანდალი“, „მუკუზანი“ და „გურჯაანი“ 400-500 რუბლად ბოთლზე. საშუალო ფასის სეგმენტი - „ქინძმარაული“, „ახაშენი“ და „ჩხავერი“ – 1000 რუბლად. და უფრო იშვიათი ღვინო

„უსახელაური“ – 3000 რუბლად. მინერალური წყლის მიწოდება რუსეთში შეადგენდა 40 მლნ დოლარს.

213 მლნ დოლარის ოდენობით საქართველომ მიაწოდა რუსეთს შავი ლითონები. 71 მლნ დოლარზე - მცენარეული პროდუქტები. მათ შორის მეოთხედი - ბოსტნეული, დანარჩენი - ხილი და თხილი.

საქართველოდან იმპორტირებული ყოველი დარჩენილი მსხვილი საქონლის მიწოდების პოზიციიდან, მოცულობით არ აღწევს 10 მლნ დოლარს. ასეთი სულ სამია: ქიმიური პროდუქცია, ქსოვილი და აღჭურვილობა. ყველაფერი დანარჩენი - 1 მილიონზე ნაკლებია.

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი რჩება ღვინის მიწოდება რუსეთში: 2018 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში - 28.5 მლნ ბოთლი. წინა პერიოდის დანამატმა შეადგინა 20%-ს. ქართული ღვინის ექსპორტი აჩვენებს ორნიშნა ნამატს პროცენტებში სხვა ქვეყნებთან მიმართებაში: იაპონია - 124%, დიდი ბრიტანეთი - 67%, ყაზახეთი - 41%, გერმანია და პოლონეთი - 32% თითო. მაგრამ მათ შორის მხოლოდ ყაზახეთი და პოლონეთი ამ სიიდან ყიდულობენ მილიონზე ნაკლებ ბოთლს.[21]

აქედან გამომდინარე, ქართული პროდუქცია, რომელიც ორიენტირებულია რუსეთის ბაზარზე არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მისი ეკონომიკისთვის. პოტენციურად ასეთ მოცულობის გასაღების რეორიენტირება შეიძლება მხოლოდ რამდენიმე წელიწადში.

უძრავი ქონების ყიდვის შეძენის შედარებითი სიმარტივე საქართველოში უცხოელებს იზიდავს. რეესტრიდან გამოწერისა და პასპორტის გარდა არანაირი დამატებითი საბუთები არაა საჭირო.გადასახადი კი შეადგენს 25 დოლარს. ამიტომაც ბინების უცხოელი მყიდველების უმეტესობაა თბილისსა და ბათუმში. მათ შორის - რუსებიც.

არსებობს სრული ინფორმაცია ტურისტების რიცხოვნობის შესახებ. წინა წელს საქართველოს უცხოური სტუმრების რიცხვმა პირველად აღემატა 8 მილიონს კაცს.

[21] https://radiovesti.ru/brand/61178/episode/2179435/

ყოველი მეექვსე მათ შორის რუსეთის მოქალაქე იყო: 1 340 000. უცხოელებისგან ვალუტის სტაბილური შემოდინების ხარჯზე, ეროვნული ხაზინა ბალანსს ინარჩუნებს, გლობალურ ვაჭრობაში საქართველო არის მდგრადი ნეტო-იმპორტიორი.

2018 წელს რუსები პირველად გავიდნენ პირველ ადგილზე ქართული ტურისტული ინდუსტრიის კლიენტებს შორის. 70% თვითმფრინავით ჩამოდის, 20%-ზე მეტი - ავტომობილით, ზოგიერთი - მატარებლებით სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა IDFI-მ საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობებზე კვლევა წარმოადგინა, რომელიც ბოლო 10 წლის პერიოდს მოიცავს. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელი გოგა თუშურაული ბიზნესკონტაქტთან საუბრისას აღნიშნავს, IDFI-მ თავი მოუყარა, საქართველოს სახელმწიფო უწყებების მონაცემებს, რომელიც ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხება. "არაოფიციალური მონაცემებით 800 000 ქართველი ცხოვრობს რუსეთში, მათზე საკმაოდ დიდი წილი მოდიოდა ფულადი გზავნილების, თუმცა 2014 წლიდან აღნიშნულმა ციფრმა კლება დაიწყო. ეს ყველაფერი გამოწვეულია რუსეთში ეკონომიკური კრიზისით, რადგან ქართული დიასპორა საჭირო თანხის მობილიზებას ვერ ახერხებს და პარალელურად ვხედავთ რომ იზრდება საქართველოდან გადარიცხვები რუსეთში. რაც შეეხება ექსპორტს, ამ კუთხით 2013 წლიდან გაიხსნა საქართველოსთვის რუსეთის ბაზარი და 2014 წელს მაქსიმალური თანხა დაფისირდა, თუმცა მომავალი წლიდან დაიწყო კლებადი ტენდენცია. ესეც ასევე რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობით შეგვიძლია ავხსნათ.

მზარდი ტენდენციით ხასიათდება რუსეთიდან საქართველოში ტურისტების რაოდენობა. ერთის მხრივ ეს განაპირობა იმ ფაქტმა რომ რუსეთსა და თურქეთში განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოში მეტი ტურისტის შემოსვლა უზრუნველყო“, - განმარტავენ IDFI-ში. [22]

[22] https://www.bm.ge/ka/article/-sagartvelo-rusetis-ekonomikuri-urtiertobebi-2008-2016---infografika/8001


ფულადი გზავნილები საქართველოში
რუსეთი
სხვა ქვეყნები ერთად
2008
633.9 მლნ.
368.2 მლნ.
2009
450.3 მლნ.
391.4 მლნ.
2010
555.6 მლნ.
496.7 მლნ.
2011
655.2 მლნ.
612.9 მლნ.
2012
747.4 მლნ.
586.7 მლნ.
2013
801.4 მლნ.
675.6 მლნ.
2014
709.2 მლნ.
731.5 მლნ.
2015
432.7 მლნ.
647.3 მლნ.
2013 (9 თვე)
579.8 მლნ.
485.7 მლნ.
2014 (9 თვე)
554.3 მლნ.
542.2 მლნ.
2015 (9 თვე)
322.8 მლნ.
480.1 მლნ.
2016 (9 თვე)
282.9 მლნ.
549.1 მლნ.

რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში ფულადი გზავნილების პროცენტული წილი




საქართველოდან რუსეთში
გადარიცხული თანხები
2008
36.2 მლნ.
2009
32.3 მლნ.
2010
32.2 მლნ.
2011
32.5 მლნ.
2012
35.5 მლნ.
2013
51.2 მლნ.
2014
72.8 მლნ.
2015
77.7 მლნ.
2016
(9 თვე)
64.3 მლნ.
2013
(9 თვე)
36.1 მლნ.
2014
(9 თვე)
48.8 მლნ.
2015
(9 თვე)
56 მლნ.
2016
(9 თვე)
64.3 მლნ.

რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკური ურთიერთობა სავაჭრო ბრუნვისა და ინვესტიციების მაჩვენებლების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი არასტაბილურობით გამოირჩევა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რუსეთიდან




ექსპორტი
29.8 მლნ.
21.1 მლნ.
34.7 მლნ.
36.6 მლნ.
46.8 მლნ.
190.8 მლნ.
274.8 მლნ.
162.9 მლნ.
132.1 მლნ.
2008
2009
2010
2011
2012
2013
2014
2015
2016 9 თვე


იმპორტი
423.3 მლნ.
290.8 მლნ.
289.7 მლნ.
388.0 მლნ.
476.8 მლნ.
583.9 მლნ.
575.6 მლნ.
625.1 მლნ.
480.2 მლნ.
2008
2009
2010
2011
2012
2013
2014
2015
2016 9 თვე

რუსეთიდან შემოსვლების სტატისტიკა
2008
114 459
2009
127 937
2010
170 584
2011
278 458
2012
513 930
2013
767 396
2014
811 621
2015
926 144
2016
10 თვე
920 144

საქართველო-რუსეთის იმპორტ-ექსპორტის მონაცემები ; მლნ $



[23]

[23] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

2.2. რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თანამედროვე გამოწვევები

დღევანდელ დღეს რუსეთი - საქართველოს საგარეო სავაჭრო მეორე პარტნიორია (თურქეთის შემდეგ). რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის მონაცემებით, რუსეთსა და საქართველოს შორის საქონელბრუნვის მოცულობამ შეადგინა 1,371 მლრდ დოლარი (2017 წელთან შედარებით 25%-ით გაიზარდა), მათ შორის რუსეთის ექსპორტმა შეადგინა 934 მლნ დოლარი, იმპორტმა - 436 მლნ დოლარი. საქართველოში რუსეთის ექსპორტში ჭარბობდა სასურსათო საქონელი და სოფლის მეურნეობის ნედლეული, მინერალური პროდუქტები, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია. საქართველოდან რუსეთში იმპორტის სტრუქტურაში ჭარბობდა სასურსათო საქონელი და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული; ლითონები და მათი ნაკეთობები.

საქართველოს ეროვნული სამსახურის სტატისტიკის („საქსტატის“) მონაცემებით 2019 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით რუსეთსა და საქართველოს შორის საქონელბრუნვამ შეადგინა 568.2 მლნ დოლარზე მეტი - რაც საქართველოს საერთო საგარეო-სავაჭრო ბრუნვის 11.5%.

2019 წლის დასაწყისიდან საქართველოდან რუსეთში გაიტანეს ფეროშენადნობების 56 ათას ტონზე მეტი, ნატურალური ყურძნის წვენის 16.6 ათას ტონზე მეტი, მინერალური და მტკნარი წყლის 39 ათასი ტონა, ცენტრიფუგა 36.2 ტონას წონით, სპირტიანი სასმელების 2.6 ათასი ტონა და სხვები.

რუსეთი - ქართული ღვინის მთავარი იმპორტიორია. 2018 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტზე გავიდა ღვინის 53.7 მილიონი ბოთლი. 2019 წლის იანვრიდან მაისამდე რუსეთში გაიტანეს ღვინის 21.4 მილიონი ბოთლი (5%-ით მეტი 2018 წლის იგივე პერიოდთან შედარებით).

რუსეთიდან საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 2018 წელს შეადგინა 60 მლნ დოლარზე მეტს (4.9%), 2019 წლის პირველ კვარტალში რუსეთის ინვესტიციებმა შეადგინეს 14.4 მლნ დოლარი.

2018 წელს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა საქართველოში შეიძინეს 17 106 უძრავი ქონების ობიექტი - სახლები, ბინები, კომერციული ფართობები და შენობები.

ფულადმა გზავნილებმა რუსეთიდან საქართველოში 2018 წელს შეადგინა 457 მლნ დოლარზე მეტი. ეს რიცხვი საერთაშორისო გადარიცხვების მთლიანი მოცულობის მესამედია.

რუსეთის მოქალაქეები „საქსტატის“ მიხედვით იკავებენ წამყვან ადგილს ტურისტებს შორის. 2018 წელს საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის მოქალაქეების 1.4 მილიონი. 2019 წლის ექვსი თვის განმავლობაში რუსეთის მოქალაქეები ჩამოვიდნენ საქართველოში 700 ათას ჯერ.

ბოლო წლებში ქვეყნებს შორის კულტურული, სპორტული, სამეცნიერო, რელიგიური და საქმიანი კონტაქტები გახშირდა. 2017 წლის ოქტომბერში საქართველოს დელეგაციამ სოჭში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდებისა და სტუდენტების მსოფლიო მე-19 ფესტივალში. 2017/2018 წელს რუსეთის სასწავლებლებში სწავლობდა 1020 საქართველოს მოქალაქე, მათ შორის 243 სწავლობდნენ რუსეთის ფედერაციის დაფინანსებით.

2019 წლის ივნისის მოვლენების ფონზე შესაძლო შედეგები

ბოლო თვითმფრინავი თბილისიდან 08 ივლისს ღამის 2 საათზე გაფრინდა. ახლა რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ავიაკავშირი შეჩერებულია გაურკვეველი ხნით. პაუზის შემოღების ერთ-ერთ ეკონომიკურ მიზეზად მიდტრანსის თანახმად გახდა საქართველოს მხრიდან დაგროვებული ვალი, რომელიც ჯერ კიდევ 2018 წლიდან იწყება და შეადგენს 792 ათას დოლარს და 592 ათას რუბლს, პენის დამატების გარეშე. ყველა ავიაკომპანია ვალდებულია გადაიხადოს ავიანავიგაციის აღჭურვილობის საფასური ნებისმიერი ქვეყნის საჰაერო სივრცეში, მათ შორის რუსეთშიც. ეს არის თვითმფრინავების თვალყურის დევნა, დისპეჩერული თანხლება და საქართველოს მხრიდან ვალი ზუსტად ამ მომსახურების გამოა დაგროვილი.

საქართველოს ეროვნული ბიუროს სტატისტიკის მონაცემებით, რუსეთის მოქალაქეები ყველაზე მრავალრიცხოვანი ტურისტებია - მხოლოდ 2018 წელს იყო 1.2

მლნ კაცი, რაც 26%-ით მეტია 2017 წელთან შედარებით. როსტურიზმის მონაცემებით, რუსეთიდან მგზავრების უმრავლესობა საქართველოში ხვდებიან თვითმფრინავის მეშვეობით 70-75%, ასე რომ ქართულ ავიაგადამზიდავებს ნამდვილად საგრძნობლად შეუმცირდებათ კლიენტურა. ექსპერტებმა გამოიანგარიშეს, რომ რუსი ტურისტი მოგზაურობისას საშუალოდ ხარჯავს 566 დოლარს. უხეშდ რომ ვთქვათ, რუსმა ტურისტებმა შარშან საქართველოს მოუტანეს 700 მლნ დოალრი.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მშპ შეადგენს 16.3 მლრდ დოლარს, კონკრეტულად რუსი ტურისტების გადინების დანაკარგები შეიძლება შეადგენდეს ქვეყნის მშპ-ის 5%-ს.

საფრთხეს ქმნის ასევე შესაძლო დანაკარგები სხვა სფეროებშიც, მაგალითად სურსათი. ექსპერტების თანახმად, საქართველო წელიწადში იყენებს ხორბლის დაახლოებით 700 ათას ტონას და ამ მოცულობის მხოლოდ 10% ადგილობრივი წარმოებაა, დანარჩენი კი - იმპორტი, რომლის უდიდესი წილი ეკუთვნის რუსეთს. ექსპერტების მიხედვით, ამ წლის პირველი 6 თვის განმავლობაში რუსების განაცხადების რიცხვი ბინების შეძენაზე საქართველოში გაიზარდა თითქმის 5ჯერ წინა წელთან შედარებით.

„წინასწარი გათვლებით, რუსული სანქციების შემდეგ ზარალმა საქართველოში, შესაძლოა, 2,1 მილიარდ ლარს მიაღწიოს“, - განაცხადა საქართველოს სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის ხელმძღვანელმა შალვა ალავერდაშვილმა.[24]

მნიშვნელოვანია, მთავრობამ სწორი სტრატეგია შეიმუშავოს, ხოლო პოტენციური ზარალის შემცირებისთვის რუსული ბაზარი შეინარჩუნოს.

რამდენს ხარჯავენ რუსეთის მოქალაქეები საქართველოში?

რუსეთის მოქალაქეებმა დაახლოებით 1,1 მლრდ ლარი დახარჯეს ჩვენს ქვეყანაში, რაც ტურისტების საერთო ხარჯის 33%–ია.

[24] https://sputnik-georgia.com/politics/20180713/241200423/saqarTvelo-ruseTTan-savaWro-urTierTobebis-ganvitarebasapirebs.html

ყველაზე დიდ დარტყმას მიიღებს აჭარა, შემდეგ კი დაბალბიუჯეტიანი სეგმენტი – თბილისში დარეგისტრირებული 22 ათასი ბინა. ამ ბინების 90%–ს რუსი ტურისტები ქირაობდნენ. 2018 წელს რუსი ტურისტების რაოდენობა თვეში 60 ათასს ჭარბობდა.

გასულ წელს ყველაზე მეტი რუსი ტურისტი საქართველოში სექტემბერში ჩამოვიდა – 60,1 ათასზე მეტი. მათი ჩამოსვლის ძირითადი მიზეზი გართობა და დასვენებაა – 49,4% სწორედ ამ მიზნით ეწვია საქართველოს.

მათი დიდი ნაწილი – 54,1% სასტუმროებში განთავსდა, 11,1%–მა ბინა იქირავა, ხოლო საკუთარი საცხოვრებელი საქართველოში 5,6%–ს აქვს.

ვიზიტორების ხარჯებმა 2018 წელს 8 მილიარდი ლარი შეადგინა, აქედან 2 მილიარდი რუსი ვიზიტორების წილია.

ვინ არ აუქმებს სასტუმროებში დაჯავშნულ ნომრებს?

ჯავშანს ნაკლებად აუქმებენ მაღალბიუჯეტიანი რუსი ტურისტები. ისინი საქართველოში ჩამოსვლას ალტერნატიული გზებით გეგმავენ.

საქართველოს ტურიზმი არ არის მკაფიოდ დამოკიდებული ერთ-ერთ კონკრეტულ რომელიმე ქვეყანაზე, დომინანტური წილის მქონე ბაზარზე, შესაბამისად რომ ავიღოთ რუსეთი, როგორც ერთ-ერთი ბაზარი, საიდანაც შემოდიოდნენ ტურისტები, 2018 წლისთვის ჩვენს ჯამურ ტურიზმის ციფრში იკავებდა 25% წილს. ეს წილი არ გულისხმობს დომინანტობას, შესაბამისად 75% გადანაწილებული იყო ყველა სხვა შესაბამის ქვეყანაზე: სხვა მეზობელი ქვეყნები, აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, სპარსეთის ყურის ქვეყნები და ა.შ.

ჩვენი კერძო სექტორი განსაკუთრებულად აქტიური იყო რუსეთის ბაზარზე. სექტორი ჩვენგან დამოუკიდებლად ძალიან წარმატებით ანვითარებდა ტურიზმის ინდუსტრიას რუსეთის ბაზარზე, ამიტომაც იქნა გადაწყვეტილება მიღებული, რომ 2019 წელს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივად 0 ლარი დახარჯული რუსეთის ბაზარზე ქვეყნის ცნობადობის გასაზრდელად ან უფრო მეტი ტურისტის მოსაზიდად.[25]

[25] https://www.facebook.com/OlgaBabluaniShow/videos/402228420393521/

ბოლო პერიოდის განმავლობაში ეკონომიკის მინისტრთან ერთად მუდმივ რეჟიმში ტარდება შეხვედრები ჩვენი კერძო სექტორის სხვადასხვა წარმომდგენელთან , რადგან მნიშვნელოვანია ყველას პოზიციის გათვალისწინება, თუ რამდენით მოხდა მათი დაზარალება. ესენი არიან : ტურისტული კომპანიები, კომპანიები რომლებიც ივენთ მენეჯმენტზე მუშაობენ , ბრენდული სასტუმროები და უმთავრესად მცირე და საშუალო სასტუმროების მფლობელებთან. ბათუმსა და ქობულეთში ასევე ჩატარდა შეხვედრები , სადაც განსაკუთრებულად გამოიკვეთა მათი ეკონომიკური დაზარალება შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. ჩვენ ვსაუბრობთ საკმაოდ დიდი რაოდენობის ჯავშნების გაუქმებაზე და ბუნებრივია ამ მთელი ინფორმაციის აკუმულირებით დღეს ჩვენი მისია არის მაქსიმალურად შეკვეცოთ და მაქსიმალურად დავაპატარაოთ ის ზარალი რომლის წინაშეც დღეს ჩვენ ვდგავართ.

ტურიზმის ეკონომიკური წილი ჯამში არის 7.6%. 2018 წელს საქართველოში შემოვიდა 3.2 მლრდ დოლარი - 8 მლრდ ლარი მხოლოდ ტურიზმიდან, საიდანაც რუსეთის ტურიზმის წილი ჯამურ ციფრში იყო დაახლოებით 2 მლრდ ლარი - ¼-ზეა საუბარი. საკმაოდ მნიშვნელოვანი წილია აქ, მაგრამ არა დომინანტური.

თუ 2018 წელს საქართველოში შემოვიდა 1,4 მლნ ათასამდე რუსი ტურისტი, წელს ველოდებოდით 1.7 მლნ ათასს. თუ ვისაუბრებთ ავიარეისებზე დღეში საშუალოდ 10-15 რეისამდე იყო განხორციელებული რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან საქართველოს აეროპორტებში.

ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ რუსეთში საქართველოს პოზიციონირება ისე იყო გაკეთებული, რომ საქართველო არის ევროპული, თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა და ჩვენ არ ვართ ის ხალხი, რომელიც რაიმე ნიშნით ანსხვავებს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ ტურისტს , მათ შორის მოქალაქეობით ან რელიგიური რწმენით.

კიდევ როგორ არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი რუსეთი და საქართველო?

ღვინო - ქართული ექსპორტის შემოსავლის ძირითადი წყაროა. რუსეთი იკავებს ლიდერის პოზიციას ქართული ღვინის მიწოდების მიხედვით. 2019 წლის პირველ

კვარტალში საქართველომ გაიტანა ექსპორტზე 13.2 მლნ ბოთლი რუსეთში (ღვინის მთელი ექსპორტის 68%). რუსეთში ექსპორტიდან მიღებული საქართველოს შემოსავალი 2019 წელს შესაძლოა შეადგინოს 210 მლნ დოლარი ან მშპ-ის 1.2%.

გაყიდული ბოთლების რაოდენობის მიხედვით, რუსეთში ყველაზე პოპულარული ქართული ღვინოებია: 2019 წლის 1 კვარტლის მონაცემებით

- ქინძმარაული 3.6 მლნ ბოთლი
- მუკუზანი 1.2 მლნ ბოთლი
- წინანდალი 890 ათასი ბოთლი
- ახაშენი 422 ათასი ბითლი
- ხვანჩკარა 226 ათასი ბოთლი

შემოსავლების კიდევ ერთი მთავარი წყარო, რომლის მიხედვით რუსეთი იკავებს ლიდერის პოზიციას არის - ფულადი გზავნილები. რუსეთში მცხოვრები ქართველები თავიანთი ისტორიული სამშობლოს ეკონომიკის მთავარი დონორები არიან. მათზე მოდის ყველა გზავნილების მეოთხედი (იმდენივეს შეადგენენ ერთად აღებული გზავნილები აშშ-დან, ისრაელიდან და თურქეთიდან). 2019 წლის იანვირდან მაისის ჩათვლით რუსეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე იყო გადმორიცხული 163 მლნ. დოლარი. წლის განმავლობაში ტემპების შენარჩნების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი მიაღწევს 390 მლნ. დოლარს ან მშპ-ის 2.4%-ს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან რუსეთში უმსხვილეს ექსპორტიორად ითვლება არა ღვინის კომპანიები, არამედ ერთ-ერთი დარჩენილი უკანასკნელი ადგილობრივი ინდუსტრიის გიგანტი - ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა. 2019 წლის 5 თვის განმავლობაში მან მიაწოდა რუსეთს 136 მლნ დოლარის ოდენობის პროდუქცია. ამ მიწოდების არხის შეჩერებისას საქართველო დაკარკავს მშპ-ის დაახლოებით 2%-ს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არის ბენზინისა და ნავთობპროდუქტების მთავარი მომწოდებელი, იგი ვერ გამოიყენებს ამას ეკონომიკური არგუმენტის სახით. ეს ბაზარი

საქართველოში საკმაოდ დივერსიფიცირებულია: რუსეთის წილი შეადგენს 33%-ს, ყველა დანარჩენს აძლევს რუმინეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი და თურქმენეთი.

რუსეთის შესაძლო დანაკარგები ივნისის ვითარების შემდგომ

8 ივლისისთვის (ფრენების აკრძალვის დაწყებიდან) ავიაბილეთებით ვერ ისარგებლებს დაახლოებით 220 ათასი კაცი. სახსრების დაბრუნება ავიაკომპანიებს მოუწევთ 3 მლრდ რუბლის ოდენობამდე. მსხვილი გადამზიდავებისთვის, როგორებიც არიან „აეროფლოტი“ და “S7” საქართველოს მიმართულება საერთო მოცულობაში არ არის დიდი, თქვა ფიოდორ ბორისოვმა. და რუსული ავიაკომპანიების დანაკარგები საქართველოში ფრენებიდან, მისი სიტყვების მიხედვით, იქნება მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ფატალური.

2019 წლის პირველი კვარტლის მიხედვით რუსული ავიაკომპანიების ერთობლივმა დანაკარგებმა შეადგინეს 45.3 მლრდ რუბლი. 2018 წელს საერთო დანაკარგმა შეადგინა 50 მლრდ რუბლი, საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატანტების ასოციაციის მიხედვით.

ბილეთების დაბრუნების გამო დანაკარგების გარდა, ავიაკომპანიებმა უნდა მოემზადონ მოგების არ მიღებისთვის 8 ივლისის შემდეგ - ამ მიმართულებაზე არ გაყიდული ბილეთების გამო, ვარაუდობს სერგეი სუვეროვი, „ბკს პრემიერ“-ის უფროსი ანალიტიკოსი. მარშრუტის ანულირების გამო დამატებითი დანაკარგები გაურკვეველი დროით შესაძლოა იყოს გაზომილი მილიარდი რუბლით, ამბობს იგი.

საქართველო - არა მთავარი, მაგრამ რენტაბელური მიმართულებაა. „აეროფლოტისთვის“ აკრძალვა არ მიევლინება მნიშვნელოვან დარტყმად. რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ავიამიწოდების აკრძალვის გამოცხადების შემდეგ მოსკოვის ბირჟაზე კომპანიის აქციების დაცემა არ შეიმჩნეოდა. ინვესტორები თვლიან, რომ „აეროფლოტს“ შეუძლია გადაამისამართოს თვითმფრინავები სხვა მიმართულებისკენ. [26]

[26] https://www.ekhokavkaza.com/a/30042589.html

„აეროფლოტის“ შვილობილი ავიაკომპანია „პობედა“ - შესაძლოა მეტად დაზარალდეს. „ „პობედას“ სამარშრუტო ქსელი ნაკლებია, ვიდრე „აეროფლოტის“... სამარშრუტო ქსელის გარდაქმნა საჭიროებს 1-2 თვემდე“, -ამბობს სუვეროვი.

8 ივლისის შემდეგ საქართველოს მიმართულებით გადაფრენის ფასები შესაძლოა იგივე დონეზე დარჩეს, მაგრამ ყველაფერი იქნება ავიაკომპანიების პოლიტიკაზე დამოკიდებული, რომლებიც ამ მიმართულებაზე ჩაანაცვლებენ რუსულ და ქართულ გადამზიდავებს, ვარაუდობს პანტელეევი.

„რაც უფრო ძლიერი იქნება კონკურენცია ალტერნატიულ ვარიანტებს შორის, მით უფრო მიმზიდველი იქნება სატარიფო პოლიტიკა. პრეცენდენტები, როცა სატრანზიტო მარშრუტები ბევრად იაფია, ვიდრე პირდაპირი, კარგად ცნობილია, - იძახის იგი.

2.3. რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები და საფრთხეები

ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას და მის პოზიტიურ გავლენას რუსეთსა და საქართველოს საერთო კონტექსტს ხელს უწყობენ

როგორც მინიმუმ, 5 ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას.

ჯერ ეს **ერთი** - ეს არის ორი ქვეყნის ისტორიული კავშირები, რომლებიც შეიქმნა ბოლოს რამდენიმე საუკუნის მანძილზე. აქ არის ურთიერთგაგება, საერთო გრძელი ისტორია და ერების ურთიერთმიმზიდველობა. აქ ჯერ-ჯერობით არის საქონლის საერთო სტანდარტები, შექმნილი საბჭოთა კავშირის პერიოდში. მართალია, მათ დააზარალებს ასოციაციის შესახებ შეთანხმება. თვითონ რუსეთი, როგორც ევროკავშირთან ორმხრივი ურთიერთობის საზღვრებში, ასევე ევროკავშირსა და ევრაზიულ ეკონომიკურ გაერთიანებას შორის უკვე უახლოვებს თავის სტანდარტებს იმასთან, რაც გაწერილია ასოციაციის შესახებ შეთანხმებაში, ხოლო საქართველო (უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით) ფრთხილად აღიქვამს ევროკავშირთან ჰარმონიზაციას აგრარულ დარგში, რომელზეც მოდის მისი ექსპორტის ძირითადი

მოცულობა რუსეთში. ამიტომაც, ისტორიული კავშრების პოტენციალი (სტანდარტიზაციის მხრივაც) დიდი ალბათობით დადებითად იმოქმედებს რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკურ კავშირებზე. მეტიც, ახალ სტანდარტებზე გადასვლისას შესაძლოა გამოცდილების გარკვეულ დონეზე გაცვლა.

მეორე - რუსეთსა და საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა ურთიერთშემავსებელია. როგორც მაღლა იყო ნათქვამი, რუსეთი ახდენს ენერგოგამტარებლებისა და ხორბლის ექსპორტს, ხოლო საქართველო - კვების პროდუქტები, ფეროშენადნობები, საჭირო რუსეთის პროდუქციისთვის. ამასთან ევროკავშირი, როგორც საქართველოსთვის საექსპორტო ბაზარი ნაკლებად მიმზიდველია. მართალია, ის უფრო მსხვილია რუსეთის ბაზართან შედარებით, მაგრამ აგრარული სეგმენტი მანდ ბევრად პროტექციონისტულია, რადგან აღქმულია კულუტრული მემკვიდრეობისა და ფერმერების სოციალური დაცვასთან კავშირში. მინერალური წყლები და ღვინო, ბოსტნეული და ხილი - ევროკავშირისთვის ტრადიციული პროდუქტებია. რუსეთში მეღვინეობის ტრადიციები ცუდადაა განვითარებული. ეკონომიკის ეს სექტორი ნაკლებ კრეატიულად ვითარდებოდა საქართველოსთან შედარებით.

მესამე - ურთიერთობებზე უდავოდ დადებითად მოქმედებს პარტნიორების გეოგრაფიული სიახლოვე. ევროკავშირისგან განსხვავებით, რომლებთანაც პირდაპირი სახმელეთო საზღვარი არ არსებობს, რუსეთი იმყოფება ახლოს. მეტიც, საქართველო უზრუნველყოფს სომხეთ-რუსეთის ერთადერთ კავშირს და შესაბამისად ევრაზიულ ეკონომიკურ გაერთიანებასთან. ეს საჭიროა ყველა საქონლით ვაჭრობისთვის, მითუმეტეს სომხეთის სტაბილური ენერგომომარაგებისათვის, რომელიც ხორციელდება რუსეთიდან. ტრანზიტის სანაცვლოდ, საქართველოს შეუძლია ყოველწლიურად მიიღოს გაზპრომიდან ლურჯი ნავთობის 300 მლნ კუბამეტრამდე, 2016 წლის შეთანხმებების მიხედვით.

მეოთხე - არც თუ დიდი ხნის წინ დადებით გავლენას ახდენდა რუსეთისა და საქართველოს საერთო განწყობა ეკონომიკური კავშირების განვითარების მიმართ. თბილისმა 2008 წლის ომის შემდგომაც არ აკრძალა რუსეთის კაპიტალდაბანდებები,

ასევე ცალმხრივად მოახდინა რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლის ლიბერალიზაცია. თანამედროვე სიტუაციაში რუსეთიც მესამე ქვეყნების პარტნიორებთან დიალოგის დროს ყურადღებას ამახვილებს ბიზნეს კონტაქტების შენარჩუნებაზე და კომპანიების დიალოგზე. საინტერესოა, რომ რუსეთმა არ მოახდინა რეაგირება საქართველოს შეერთებაზე ევროკავშირის ერთ-ერთი შემაკავებელი საზომთან (ყირიმთან ეკონომიკური კავშირების უარის თქმაზე). ევროკავშირსა და უკრაინას (და მალდოვას) შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების მიმართ ნეგატიური რიტორიკის საპირისპიროდ, რუსეთის დამოკიდებულება CA-ზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის გასაკვირად წყნარია, თითქმის ნეიტრალური. როგორც ჩანს, ორივე მხარე დღესდღეობით ხვდებიან ეკონომიკის მნიშვნელობის როლს პოლიტიკური ურთიერთობის სტაბილიზაციაში. ის ქმნის ურთიერთდაინტერესების კარკასს, თანაც არა პოლიტიკოსებს შორის, არამედ მეწარმეებს, უბრალო მოქალაქეებს შორის, რომლებიც ტრანსნაციონალური ურთიერთობის ქსელის ფორმირებას ახდენენ. იგი ასევე ურთიერთსოციალიზირებს მოქალაქეებს ერთმანეთის მხრივ. იმავე დროს, არ არის ცხადი, თუ რამდენად ხდება ეკონომიკური ურთიერთობები ორმხრივი ურთიერთობების სტაბილიზატორები და მათი ხელახლა გაშვების პლაცდარმი. რუსეთისა და ევროკავშირის მაგალითი უფრო ნეგატიურია. ევროკავშირზე მოდის რუსეთის საგარეო ვაჭრობის თითქმის ნახევარი, ხოლო რუსეთი ევროკავშირისთვის უმნიშვნელოვანესი ენერგომატარებლების მიმწოდებელია. მაგრამ ამ ფაქტმა არ აარიდა მხარეების ურთიერთმტრობისგან და კონფლიქტის ზრდისგან. პირიქით, რიგი შემაკავებელი საზომების მიმდევრობითმა დაწესებამ, დამანგრეველად მოქმედებდა ახალ და ძველ ეკონომიკურ კავშირებზე. რუსეთსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური სირთულეების შერბილების ან არიდების ეკონომიკის მხრიდან შეუძლებლობის მიზეზი რამდენიმეა.

პირველი - რუსეთსა და დასავლეთს შორის უსაფრთხოების ევროპული სისტემის ფუნდამენტალური ასპექტებისა და ეკონომიკური რეგულირების ფორმირების პრინციპების შეუთანხმებლობა.

რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობის სტაბილიზაციის ეკონომიკის ჩავარდნის მეორე მიზეზი - არის ეკონომიკაში რუსეთის სახელმწიფოს ჩართულობის მაღალი წილი, ბიზნესის (განსაკუთრებით მსხვილი) დამოუკიდებლობის არარსებობა.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს აშშ-ს მიერ სანქციების შაშიშროება ყველა იმ კომპანიისთვის, რომლებიც ვაშინგტონის შემძღუდველ პირობებს არღვევს.

რა სიტუაციაა რუსეთსა და საქართველოს შორის? ევროკავშირისგან განსხვავებით, საქართველოს არ აღიქვამს ნორმატიული მოწინააღმდეგეს სახით, რომელიც რეგულირების საფუძვლებს განაპირობებს. მეტიც, პოლიტიკური ურთიერთკავშირის არარსებობისას, ბიზნესი უფრო დამოუკიდებლად ჩანს რუსეთ-საქართველოს კავშირში, თუმცა აქაც არიან რუსეთის ენერგეტიკული გიგანტები, რომლებიც სახელმწიფოს ხელისუფლებასთან ახლოს არიან. მოსკოვის არჩევანია, არ მიაქციოს ყურადღება საქართველოს ევროკავშირის ანტირუსულ სანქციებთან ნაწილობრივი შეერთებაზე, და არ მოახდინოს მისი ასოციირება ნეგატიურ კონტექსტში დასავლეთთან ურთიერთობისას - ესეც პოზიტიური მომენტია, რომელიც იმედებს გვაძლევს რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის სტაბილურ განვითარებაზე.

საბოლოოდ **მეხუთე** - როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მაგრამ ასოციაციის შესახებ შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის ნორმებით ასევე შეუძლია პოზიტიურად იმოქმედოს რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებზე. საქართველოს ეკონომიკა უკვე ლიბერალიზირებული იყო მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციასთან შეერთების მხრივ, ამიტომაც ასოციაციის შესახებ შეთანხმება ნაკლებად მოსალოდნელია რომ შემოიღებს საფუძვლიან ცვლილებებს (შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოსთვის, მოლდოვისა და უკრაინისგან განსხვავებით, არ არის პერიოდი საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის ლიბერალიზაციისთვის გათვალისწინებული ტრანზიტული). ასევე, ნაკლებად მოსალოდნელია რუსეთის ინვესტიციების ძირითად დარგებში ასოცირების შესახებ შეთანხმებამ ნეგატიურად იმოქმედოს. ენერგეტიკაში სავარაუდოა შემდგომი ლიბერალიზაცია ზოგიერთი ამოღებით იმის გამო, რომ საქართველოს არ აქვს სახმელეთო საზღვრები ევროკავშირთან ან ენერგეტიკის გაერთიანების სხვა ქვეყნებთან

(რასთან საქართველო აპირებს უახლოს პერიოდში შეუერთდეს). რუსულმა კომპანიებმა ელექტროენერგეტიკასა და ნავთობის ლიბერალიზაციასთან ადაპტირება მოახდინეს (შესაბამისი საზომები რუსეთშიცაა მიღებული), და ასევე ისწავლეს ბუნებრივი აირის კონკურენტულ ბაზარზე მუშაობა. ტელესაკომუნიკაციო ბაზარს და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას რადიკალური ცვლილებები არაა მოსალოდნელი. ხოლო საქართველოს აგრარულ დარგში, სადაც იმყოფებიან რუსეთის მცირე ინვესტორები, ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდია მოსალოდნელი. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმება პოზიტიურად იმოქმედებს რუსულ ინვერსტორებზე. ეს ეკონომიკური დარეგულირების უფრო მოსალოდნელი მოდელია (ევროკავშირში ცნობილის მოდელის ანალოგიური). ეს ასევე შესაძლებლობაა იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ჯერ არ გავიდნენ ევროკავშირის ბაზარზე, მათთვის უკვე ნაცნობ ბაზარზე ისწავლონ ახალ პირობებში მუშაობა.

აქედან გამომდინარე, როგორც მინიმუმ ხუთი ფაქტორი ამტკიცებს იმას, რომ რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა უნდა მხოლოდ გამყარდეს, თანამედროვე პოლიტიკური კონიუნქტურის კონტექსტში და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოციაციის შესახებ შეთანხმების მიხედვით.

მაგრამ, არანაკლებია იმ ფაქტორების რაოდენობა, რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებენ.

რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და მათ საერთო კონტექსტზე პოზიტიური გავლენის შემაფერხებელი ფაქტორები.

არსებობს როგორც მინიმუმ ხუთი ფაქტორი, რომელიც ანეიტრალებს ეკონომიკური კონტაქტებისთვის ზემოთხსენებულ დადებით ფქტორებს.

პირველ რიგში, მიუხედავად რუსეთისა და საქართველოს ურთიერთმომგებიანი ეკონომიკური ურთიერთობების მზადყოფნაზე, დიალოგის ყველა ასპექტის პოლიტიზაცია რჩება მნიშვნელოვანი. მას აქვს არა როგორც რუსეთისა და დასავლეთის შემთხვევაში, ნორმატიული და კონცეპტუალური მეტოქეობის ხასიათი, არამედ მიწიერი

კონფრონტაციის ხასიათს ატარებს. უდავოდ უნდა აღინიშნოს რუსეთისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიზაცია. კერძოდ:

- თავისი შიდა ბაზრის ხელმისაწვდომობის გამოყენება პოლიტიკური წნეხისთვის, რომელშიც „როსპოტრებნადზორი“ დე-ფაქტო გარდაიქმნება საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად, რადგანაც კრძალავს ქართული საქონლის მიწოდებას რუსულ ბაზარზე ყოველ ჯერზე, როცა იქმნება პოლიტიკური სირთულეები.
- ენერგომატარებლების მიწოდების შეფერხება, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად ემთხვევა პოლიტიკური დიალოგის გამწავებას.
- ქართული საქონლის მიმართ არასწრაფი ამჟამინდელი შემზღუდველი პირობების მოხსნა, რომელიც ყოველი საქონლისთვის ცალკეულ მიმართვას ითხოვს.

შედეგად, რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების ყოველი მცდელობა პოლიტიზირდება და ხდება შიდაპოლიტიკური შეტაკებების ერთ-ერთ ასპექტად, სპეკულაციებად და საზოგადოებრივ დისკუსიებად. მოვლენების ასეთი განვითარების შესანიშნავ მაგალითად შეიძლება იყოს საქართველოში „როსნეფთის“ შემოსვლის წინააღმდეგობები 2014-2015 წლებში (მისი შვილობილი კომპანიის მუშაობა აფხაზეთში ძირითად მოსაზრებად იყო მოყვანილი) და კამათი, ღირს თუ არა „გაზპრომისგან“ ბუნებრივი აირის შესყიდვა 2016 წელს. ეს ასახავს რუსეთ-საქართველოს ერთმანეთისადმი ნდობის ფართო პრობლემას. კიდევ ერთი პოლიტიზირებული ფაქტორია - საქართველოს მონაწილეობა რუსეთის ტერიტორიის მოვლითი გზით ნახშირწყალბადის ცენტრალური აზიიდან ევროპაში ტრანსპორტირების სხვადასხვა სქემებში (ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზერუმი). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა უკვე მიეჩვია ამ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათი არსებობა შეუძლებელია რუსეთისთვის გამაღიზიანებელი ფაქტორი არ იყოს. ურთიერთობის პოლიტიზირების თანამედროვე ფაქტორებს ასევე შეგვიძლია მივაკუთვნოთ საქართველოს მონაწილეობა დასავლეთის შემაკავებელ ფაქტორებში რუსეთის წინააღმდეგ, 2014 წელს შემოღებული უკრაინის მოვლენების ფონზე. თბილისი არ უერთდებოდა აშშ-სა და ევროკავშრის შავ სიებს და ასევე სექტორულ პირობებს (რუსეთში იარაღის, ორმაგი მოხმარების საქონლის, რუსეთის კომპანიების შეკავება ფინანსურ ბაზრებზე და ენერგეტიკულ ტექნოლოგიებზე მიწოდების ემბარგო).

იმავდროულად თბილისი შეუერთდა ყირიმთან ეკონომიკური კონტაქტის შემაკავებელ პირობებს (მაგრამ არანაირ საპასუხო ნაბიჯები არ მოჰყვა). რადგანაც საქართველოსთვის რთული იყო ევროკავშირთანაც მიახლოება და რუსეთთანაც ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნება, იყო არჩეული სანქციების მხარდაჭერის ნაწილობრივი ვარიანტი. ამან შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის უარყოფითი ინტერპრეტაცია და ოფიციალური რეაქციის გარეშეც ნიშნავს, რომ საქართველოს არ ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს რუსეთის ეკონომიკური კავშრებით მსოფლიოსთან, ეკონომიკური კონტაქტების გაძლიერებისთვის. საინტერესოა, რომ ბალკანეთის ქვეყნებმა შეინარჩნეს მეგობრული კავშირები რუსეთთან და ვაჭრობის ინტენსირება მოახდინეს, ევროკავშირთან მიერთების მიუხედავად.

მეორე - რუსეთისა და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციის კითხვები ითხოვენ თუ არა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარებას, მაშინ ამ ტერიტორიების ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩაბმის სქემის შემუშავება. საშუალოვადიან პერსპექტივაში ვაჭრობა და ორმხრივი ინვესტიციებმა უნდა შეამცირონ პოლიტიკური დიალოგის გამწვავების პროცესი. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაწილეობის სქემისდამუშავება აუცილებელია სარკინიგზო კავშირის გაშვებისთვის და საავტომობილო მოძრაობის ინტენსიფიკაციისთვის. მაგრამ ზუსტად აქ შეიმჩნევა ორივე მხარის კრეატიულობის არყოფნა. რუსეთი დაჟინებით ითხოვს საქართველოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მოილაპარაკოს, ხოლო საქართველო უარყოფს მათი თანაბარ პარტნიორებად მიღება ან მათი საბაჟო ორგანოების აღიარება. აქედან გამოსავალი შეიძლება იყოს მხარეების მიღება ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში ასოციირებული წევრების სახით ან განსაკუთრებული წევრის სახით. ეს საშალებას მისცემდა ევრაზიის ეკონომიკურ კომისიას საქართველოსთან მოლაპარაკებების ჩატარება მათი მხრიდან. მაგრამ ეს ვარიანტი-ხანგრძლივ პერსპექტივაში შეიძლება განიხილებოდეს, ვინაიდან ითხოვს არა მხოლოდ ორი მხარის საკუთარ შესვლას ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში (რასაც შესაძლოა კავშირის წევრებმა, რომლებიც არ აღარებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ეწინააღმდეგონ), მაგრამ ასევე ევრაზიის ეკონომიკური კავშირის და მისი ინსტიტუტების

უფლებამოსილების გაძლიერებას, კომპეტენციების გადმოცემას, მაგალითად სატრანსპორტო და ენერგეტიკული პოლიტიკის რეალიზაციის შესახებ.

მესამე - მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რუსეთთან ნორმატიული მეტოქეობის სუბიექტად არ აღიქმება, იგი რჩება ევროკავშრისა და რუსეთის/ევრაზიული ეკონომიკის კავშირის მეტოქეობის ობიექტად. იგი იმყოფება საერთო სამეზობლოს იმ რეგიონში, სადაც ჯერ-ჯერობით ეტაკებიან და არა ურთიერთმოქმედებენ ინტეგრაციის ორი პროცესი. ამასთან, საქართველოს სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის საქონლის ტრანზიტი ევრაზიის ეკონომიკური კავშირისთვის. ზოგიერთი სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებენ, რომ ევროკავშირის ტექნოლოგიური სტანდარტებისკენ და აკრედიტაციის ნორმებისკენ მისწრაფების შესაძლო სირთულეები, საქართველოს მოქალაქეებს ევრაზიული ინტეგრაციისკენ ინტერესს აძლიერებენ. ამ კონტექსტში რუსეთს არ შეეძლო არ გამოეხატა ევრაზიის ეკონომიკური კავშირისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის წააღმდეგობა. ეს უპირველეს ყოვლისა ევროკავშირის საქონლის რუსეთის საბაჟოს არალეგალური მოვლითი გზის შესაძლებლობაა (რადგანაც ჯერ კიდევ 1994 წელს საქართველომ დსთ-ს ქვეყნებთან დადო შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის ზონაზე). ეს წინააღმდეგობა ხელოვნურია, ვინაიდან თავისუფალი ვაჭრობის ზონა არ ნიშნავს საბაჟო კონტროლის არყოფნას, ხოლო მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წესებში ნათლად გაწერილია რა შემთხვევაში საქონელი ითვლება ქართულად. სხვა ტრადიციული წინააღმდეგობა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის მიმართ ისაა, რომ საქონელი, რომელიც არ აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს, რუსულ ბაზარზე შევა. მაგრამ საქართველოში წარმოების თანამედროვე სტრუქტურისა და რუსეთთან ვაჭრობის შემთხვევაში, ძნელია წარმოდგენა თუ რა სახის საქონელია ეს. ევროკავშირისა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს შორის კონკურენცია, მოსკოვსა და ბრიუსელს შორის შეთანხმების არარსებობა, კონცეფტუალურად როგორ უნდა იყოს აგებული ეკონომიკური რეგულირება, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სირთულისკენ პერიოდულად მიიყვანს. ამ სიტუაციაში ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ მიიღო ერთადერთი შესაძლო გადაწყვეტილება მიიღეს: რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაფართოების შესაძლებლობის გამოყენება, როგორც სხვა

პარტნიორებზე ზემოქმედების ბერკეტი. ამის ნათელი მაგალითია - გაზპრომთან მოლაპარაკებები 2016 წლის პირველ ნახევარში, ბუნებრივი აირის მიწოდების გაზრდის შესახებ, რომლებმაც საშუალება მისცეს აზერბაიჯანიდან (სოკარის კომპანიიდან) ლურჯი საწვავის მიწოდების უკეთესი პირობებისკენ მიღწევა. სავარაუდოდ ეს ტაქტიკა განმეორდება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში იგი მოემსახურება რუსეთსა და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიზაციას, ვაჭრობისა და ინვესტიციების ვირტუალიზაციას.

მეოთხე - რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო შეზღუდვის შენარჩუნება, უდავოდ ეკონომიკური კავშრების ინტენსიფიკაციის შემაფერხებელ ფაქტორად რჩება. მიუხედავად 2016 წლის შესუსტებისა, რუსეთში შესვლის ნებართვის შენარჩნება ბიზნეს-კონტაქტების პოტენციალს აკავებს.

ბოლო, რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური კავშირების ნეგატიური ფაქტორი - ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობაა რუსეთში. ამასთან რუსეთის მოქალაქეების შემოსავლების დაცემაა, შესაბამისად მათი მსყიდველობითი უნარის დაცემაცაა, მგზავრობის მოცულობის შემცირებაც. საგარეო ინვესტიციების ლიმიტირებას უშლის ხელს რუსეთში ფინანსური რესურსების შეზღუდულობა. და ბოლოს, ამჟამინდელი ვითარება რუსეთსა და დასავლეთს შორის მიჰყავს იმპორტშემცვლელობისკენ, კერძოდ აგრარული პროდუქციის ჩანაცვლებისკენ.

საერთო ჯამში, ნეგატიური მომენტები მნიშვნელოვნად იმოქმედებენ რუსეთ-საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე რაც შენარჩუნდება როგორც მუხრუჭი ამ მიმართულების განვითარებისათვის.

დასკვნა

რუსეთის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობამ საკმაოდ პოზიტიურ შედეგებს მიაღწია. 2018 წლის შედეგებმა 2012 წელთან შედარებით რეკორდულ ზრდას მიაღწია. ქვეყნის მშპ გაიზარდა 2.7%-ით 2017 წელთან შედარებით და შეადგინა 1 652.6 მლრდ. დოლარი.

თუ რუსეთის ექსპორტი ძირითადად შედგება ნედლეულისა და სხვა რესურსებისგან, იმპორტი - მანქანა-დანადგარებისაგან. იმპორტის ამ ნაწილზე მოდის 112 მლრდ. დოლარი. იმპორტი, როგორც წესი ექსპორტთან ერთად იზრდება.

რუსეთის ეკონომიკა - მრავალი კომპონენტისგან შემდგარი სამეურნეო და სხვა მოღვაწეობის კომპლექსია, რომელიც შედგება შედარებით განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიალური სექტორისა და მომსახურების სფეროსგან. კერძო მეწარმეობის განვითარების და რიგი სამეურნეო ობიექტის პრივატიზაციის მიუხედავად, სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი კომპანიები აკონტროლებენ ქვეყნის მშპ-ის 70%-ს. ამავდროულად რუსეთის თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება დაუკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

მსოფლიო ეკონომიკაში რუსეთის საერთო წვლილი არ არის დიდი და შეადგენს 3.2%-ს, ხოლო მსოფლიოს აქტივების სექტორში - 1 %-ს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ფლობს რესურსების დიდ მარაგს, იგი მაინც ვერ ვითარდება სწრაფად. რუსეთში მკვეთრად ჩანს ეკონომიკური განვითარების სხვაობა სხვადასხვა ადმინისტრაციულ სუბიექტებში. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ერთნაირი არ არის და შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით.

რუსეთის ეკონომიკაში შეიმჩნევა სერიოზული დამოკიდებულება ენერგორესურსების საზღვარგარეთ მიწოდებაზე. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ექსპორტის 60%-ზე მეტი დაკავშირებულია სათბობ-ენერგეტიკულ საქონელთან. რუსეთის ძირითადი საგარეო ვაჭრობის პარტნიორია ევროკავშირი.

რუსეთის ეკონომიკის მკვეთრი გაუარესება დაიწყო 2014 წელს, რაც გამოწვეულია ნავთობზე ფასების დაცემით და წლის ბოლოს სანქციების შემოღებით. ოფიციალურად კეონომიკური კრიზისი დაიწყო 2014 წლის დეკემბერში. 2017 წლისთვის სიტუაციამ გაუმჯობესება დაიწყო. 2018 წელს მიუხედავად იმისა, რომ ნავთობზე ფასების მკვეთრი ზრდა შეიმჩნეოდა (75$-მდე ბარელზე), ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დაძაბული დარჩა.

რუსეთისთვის საგარეო ეკონომიკური კავშირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ მხრივ, რომ ქვეყნებს შეუძლიათ გამოცდილების, საწარმოო, საქმიანი, სამეცნიერო-ტექნიკური, ფინანსური და ინფორმაციული რესურსების გაცვლა, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაუმჯობესება.

რუსეთისა და ამერიკის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მკვეთრად გამოყოფილ სპეციფიკას ატარებენ. მათ სავაჭრო კავშირს აქვს მრავალწლიანი ისტორია. აშშ იკავებს მნიშვნელოვან ადგილს რუსეთის ეკონომიკაში.

ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები არაერთმნიშვნელოვნებით ხასიათდებოდა წლების განმავლობაში და 2014 წლიდან ვითარდებოდა აშშ-სა და დასავლეთ ქვეყნების მიერ მხარდაჭერილი ეკონომიკური სანქციების ზეგავლენის ქვეშ. რუსეთისა და აშშ-ს ორმხრივი ვაჭრობის დისბალანსი ჩნდება, ხოლო ამერიკელი ინვესტორების აქტივობა იზრდება ევროპისა და რუსეთის ბაზრებზე, როგორც სანქციური ომის შედეგი. ამერიკის მიერ ინიცირებული ანტირუსული ეკონომიკური სანქციები აღმოჩნდა საკმაოდ მომგებიანი აშშ-სთვის. აშშ იკავებს მე-7 ადგილს რუსეთის ყველა საგარეო სავაჭრო პარტნიორებს შორის.

ამავდროულად, ნავთობის დარგში შეიმჩნევა სერიოზული ბრძოლა გასაღების ბაზრებისთვის. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემებით, აშშ უახლოეს 5 წელიწადში ნავთობის უფრო მეტ ექსპორტს განახორციელებს, ვიდრე იმპორტს, ხოლო ნავთობის ექსპორტის ერთობლივი მოცულობის მიხედვით აშშ გაასწრებს რუსეთს და მაქსიმალურად მიუახლოვდება საუდის არაბეთს. ეს ყველაფერი მხოლოდ ერთს ნიშნავს - გაძლიერებული კონკურენციის ფონზე ნავთობის გაყიდვა გაძნელდება, რაც იმას

ნიშნავს, რომ რუსეთის ეკონომიკის მძლავრი ფინანსური წყარო ნებისმიერ მომენტში შესაძლოა გამოილიოს.

ამერიკელი ინვესტორების აქტივობა იზრდება ევროპისა და რუსეთის ბაზრებზე, როგორც სანქციური ომის შედეგი.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის მიერ ინიცირებული ანტირუსული ეკონომიკური სანქციები აღმოჩნდა საკმაოდ მომგებიანი აშშ-სთვის. შესაბამისდან მათი გაუქმების მოლოდინი, როგორც მოკლე ასევე საშუალოვადიან პერსპექტივაში რთულია.

რუსეთის ფედერაციისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი სტრატეგიის დამუშავება და რეალიზება, რათა რუსეთ-ამერიკის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა განავითაროს. მის საფუძველში უნდა იყოს ჩადებული ნაციონალური ეკონომიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

რუსეთისა და ჩინეთის საგარეო ურთიერთობების განვითარების თანამედროვე მდგომარეობისა და ტენდენციების შეფასებისას, შეიძლება აღინიშნოს:

1. რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებმა განვითარების დროს გაიარეს რამდენიმე ეტაპი, რომლებიც შეიცავდნენ როგორც აქტიური თანამშრომლობის პერიოდს, ასევე ურთიერთობის გაციებას. დღესდღეობით რუსეთ-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობები დაფუძნებულია თანაბარუფლებიან პარტნიორობაზე და სტრატეგიულ ურთიერთქმედებაზე. ჩინეთი რუსეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია, რადგან მასთან თანამშრომლობა ხელს უწყობს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის განვითარებას. ამ თანამშრომლობის ობიექტურ წინაპირობად ითვლება: მეზობლობა და რუსეთსა და ჩინეთის საზღვრის სიგრძე, ტრანსსაზღვრული აუზის ეკონომიკური ეკოსისტემების ერთობლიობა, ეკონომიკების განვითარების მდგრადი მაღალი ტემპები. სუბიექტური წინაპირობები - სახელმწიფოთაშორისი

ხელშეკრულებები და ურთიერთმომგებიანი თანამშრობლობის განვითარება, როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე რეგიონალურ და კერძო დონეებზე.

2. მთლიანობაში, თანამედროვე ეტაპზე მოხდა რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების გაღრმავება, ხოლო ორივე ქვეყნის სავაჭრო თანამშრომლობის განვითარების დინამიკა შეიძლება იყოს დადებითად დახასიათებული, მაგრამ რიგი თავისებურებების მქონე, რასაც სტატისტიკური მონაცემები ამტკიცებს. შესაძლოა საგარეო ვაჭრობის დონის სტაბილიზაცია, შიდა და გარე ეკონომიკური ფაქტორების ცვალებადობის პირობებში, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ შესაბამისი მონაცემების დინამიკაზე.

3. რუსეთისა და ჩინეთის თანამშრომლობა მიზანმიმართულია ორივე ეკონომიკის მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ჰარმონიულად ინტეგრირებაზე, ექსპორტის დივერსიფიცირების პირობების შექმნასა და ინვესტიციური მოღვაწეობის განვითარებაზე, მოდერნიზაცის ხელის შეწყობასა და მსოფლიო ბაზარზე რუსულ-ჩინური კომპანიების კონკურენტული პოზიციების მდგრადობაზე.

1990 წლიდან დაწყებული, თითქმის 30 წლის განმავლობაში, ინვესტიციების მოცულობა ძირითად კაპიტალში ჯერ ვერ აღადგინდა წინა დონემდე. აღდგენა შეწყდა 2008-2009 წლების კრიზისის პერიოდში. იმ დროიდან მრავალგან მიმართულმა ინვესტიციების დინამიკამ ძირითად კაპიტალში არ მიიყვანა შესამჩნევ დადებით შედეგამდე. ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობა 2018 წელს იყო 26.4%-ით ნაკლები 1990 წლის დონესთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ძირითადი კაპიტალის ინვესტიციების დინამიკის რუსეთის მაჩვენებლები საშუალო მსოფლიოზე მაღალია.

საერთაშორისო სანქციების და რუსეთში ეკონომიკური ზრდის ფონზე 2018 წელს იყო პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების შესამჩნევი შემცირება.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2018 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება შემცირდა 25.8 მლრდ დოლარიდან 2.4 მლრდ დოლარამდე - 11 ჯერ. ამასთან, არარეზიდენტების პირდაპირი ინვესტიციები მესამე კვარტალში შემცირდა 6 მლრდ დოლარად.

ინვესტიციების დონის შემცირება ქვეყანაში შეანელებს მომდევნო წლებში რუსეთში შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას.

რაც შეეხება რუსეთის ადგილს მსოფლიო რეიტინგებში - იგი არც თუ ისეთ ცუდ პოზიციას იკავებს. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად რუსეთის პოზიციები მსოფლიო რეიტინგებში უმჯობესდება და უფრო მაღალ დონეზე ადის.

რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები ვითარდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდის შემდგომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის თითქმის არ არსებობს. საქართველო არის სამუშაო ძალის ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორი, ხოლო რუსეთი არის ინვესტიციების ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორი საქართველოში. რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 2013-2018 წლების პერიოდში შეადგინა 5.15 მლრდ დოლარი. ციფრებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავინახოთ, რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსეთი საქართველოს ვაჭრობაში. თუმცა ექსპერტების მოსაზრებით იგი არც თუ ისეთი გადამწყვეტია.

რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში მეღვინეობის დარგი ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს. რუსეთი არის ქართული პროდუქციის გასაღების მთავარი საგარეო ბაზარი. ღვინის მიწოდებამ რუსეთში 2018 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში შეადგინა 28.5 მლნ ბოთლი. 2019 წლის იანვრიდან მაისამდე რუსეთში გაიტანეს ღვინის 21.4 მილიონი ბოთლი (5%-ით მეტი 2018 წლის იგივე პერიოდთან შედარებით).

2018 წელს რუსები პირველად გავიდნენ პირველ ადგილზე ქართული ტურისტული ინდუსტრიის კლიენტებს შორის - დაახლოებით 1.2 მლნ კაცი საქართველოს ეროვნული ბიუროს სტატისტიკის მონაცემებით.

დღევანდელ დღეს რუსეთი - საქართველოს საგარეო სავაჭრო მეორე პარტნიორია (თურქეთის შემდეგ). საქართველოს ეროვნული სამსახურის სტატისტიკის („საქსტატის“) მონაცემებით 2019 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით რუსეთსა და საქართველოს შორის საქონელბრუნვამ შეადგინა 568.2 მლნ დოლარზე მეტი - რაც საქართველოს საერთო საგარეო-სავაჭრო ბრუნვის 11.5%.

რუსეთიდან საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 2018 წელს შეადგინა 60 მლნ დოლარზე მეტი (4.9%), 2019 წლის პირველ კვარტალში რუსეთის ინვესტიციებმა შეადგინეს 14.4 მლნ დოლარი.

2019 წლის ივნისში მომხდარი მოვლენების ფონზე რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება საფრთხის წინაშეა. ქვეყნებს შორის საქართველოს შორის პირდაპირი ავიაკავშირი შეჩერებულია გაურკვეველი ხნით. რუსეთიდან მგზავრების უმრავლესობა საქართველოში ხვდებოდნენ თვითმფრინავის მეშვეობით 70-75%.

სავარაუდო ზარალი დაახლოებით 2,1 მილიარდი ლარს შეადგენს.

“Georgian Airways”-ის ავიაკომპანიის ზარალმა რუსეთში პირდაპირი რეისების აკრძალვის შემდეგ შეადგინა 25 მლნ. დოლარს. ეს ინფორმაცია იყო გავრცელებული 29 ივლისს საქართველოს ფლაგმანური ავიაგადამზიდავის პრესსამსახურის მიერ. კომპანია იძულებული იყო ბილეთების 80% დაებრუნებინა.

დანაკარგს იგრძნობენ რუსეთის ავიაკომპანიებიც, ვინაიდან საქართველო არა მთავარ, მაგრამ რენტაბელურ მიმართულებად იყო მიჩნეული.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობებია, არსებობს რიგი ფაქტორები, რომლებიც ხელ უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას ქვეყნებს შორის:

1. ქვეყნის ისტორიული კავშირები

2. ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სტრუქტურის ურთიერთშემავსებლობა
3. გეოგრაფიული სიახლოვე
4. საერთო განწყობა ეკონომიკური კავშირების განვითარების მიმართ
5. თავისუფალი ვაჭრობის ზონის ნორმების პოზიტიური გავლენა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებზე.

ანალოგიურად ხუთი ფაქტორი ეწინააღდეგება ამ მოსაზრებას:

1. ქვეყნებს შორის დიალოგის პოლიტიზირება
2. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩაბმა ეკონომიკურ ურთიერთობებში
3. მეტოქეობის ობიექტი
4. სავიზო შეზღუდვა
5. ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობაა რუსეთში

მთავარი დასკვნა მდგომარეობს შემდეგში:

ვინაიდან რუსეთი საქართველოს მეორე სავაჭრო პარტნიორია და რუსეთი იკავებს ლიდერის პოზიციას ქართული ღვინის მიწოდების მიხედვით, ხოლო ღვინო - ქართული ექსპორტის შემოსავლის ძირითადი წყაროა, ვერ შევწყვეტთ მეზობელ პარტნიორთან ურთიერთობა პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე. 2019 წლის პირველ კვარტალში საქართველომ გაიტანა ექსპორტზე 13.2 მლნ ბოთლი რუსეთში (ღვინის მთელი ექსპორტის 68%). რუსეთში ექსპორტიდან მიღებული საქართველოს შემოსავალი 2019 წელს შესაძლოა შეადგინოს 210 მლნ დოლარი ან მშპ-ის 1.2%. შესაბამისად, მეზობელ სავაჭრო პარტნიორთან ეკონომიკური ურთიერთობების მკვეთრად შეწყვეტისას, ჩვენი ქვეყანა დაზარალდება. იგივე დასკვნის გამოტანა შეიძლება რუსეთიდან ტურისტების შემოსვლისა და საქართველოში დახარჯული თანხის ოდენობიდან გამომდინარე. რუსი ტურისტების გადინების დანაკარგები შეიძლება შეადგენდეს ქვეყნის მშპ-ის 5%-ს.

მეზობელ პარტნიორთან არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების სიტუაციიდან გამომდინარე საუკეთესო გამოსავალია ჩვენი ქვეყნის ორიენტაციის დივერსიფიკაცია. მეტად ორიენტირებულები უნდა ვიყოთ სხვა ქვეყნებზე, ვიპოვოთ უკეთესი და ბევრად სტაბილური გასაღების ბაზრები. გავაკეთოთ მაქსიმუმი იმისთვის, რომ სხვა ქვეყნებიდან უფრო მეტი ტურისტი მოვიზიდოთ. მართალია, ცვლილებები და რეორიენტაცია დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ საბოლოოდ აუცილებლად დადებით შედეგამდე მიგვიყვანს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავით ნებიერიძე : რუსეთის ეკონომიკის დღევანდელობა და მისი პერსპექტივები - http://iveria.biz/1486--.html
2. ზურაბ დავითაშვილი : „საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა."
3. კახა მჭედლიძე : რა გავლენას ახდენს რუსეთის სანქციები ქართულ ბიზნესსა და რიგით მოქალაქეებზე - https://www.radiotavisupleba.ge/a/1549126.html
4. მაიკლ კარპენტერი, ჯეფრი მანკოფი, ბრაიან ვიტმორი, ლუკ კოფი : კონფერენცია: „რუსული გავლენების კვალდაკვალ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში".
5. ნათია თურნავა : რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები - https://1tv.ge/news/natia-turnava-rac-ufro-dzlierebi-viqnebit-ekonomikurad-rac-ufro-met-qveyanastan-mat-shoris-rusettan-gveqneba-ekonomikuri-pragmatuli-urtiertobebi-mit-uketesia-chventvis/
6. ოლგა აჟგიბეტსევა, იასია ბაბიხ : რუსეთის ეკონომიკის საიდუმლო - http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/e1-83-a0-e1-83-a3-e1-83-a1-e1-83-94-e1-83-97-e1-83-98-e1-83-a1-e1-83-94-e1-83-99-e1-83-9d-e1-83-9c-e1-83-9d-e1-83-9b-e1-83-98-e1-83-99-e1-83-98-e1-83-a1-e1-83-a1-e1-83-90-e1-83-98-e1-83-93-2
7. რუსუდან მარგიშვილი: „რუსეთი და საქართველო: გამოსავლის ძიებაში" - ქართველი და რუსი ექსპერტების მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი პოლიტიკის სარეკომენდაციო დოკუმენტები.
8. Андрейчук, Е.Л., Лизунов Н.С. Перспективы развития торгового оборота между Россией и Китаем [Текст] / Е.Л. Андрейчук, Н.С. Лизунов // Таможенная политика России на Дальнем Востоке. – 2012. – № 3(60). – С. 82-92.
9. Антонова Е.А. Развитие российско-китайских торгово-экономических отношений в нефтегазовой сфере. Диссертация на соискание ученой степени кандидата экономических наук. СПб.: Санкт-Петербургский университет экономики и финансов, 2010
10. Всемирный Банк : 10 июня 2019: 41-й выпуск Доклада об экономике России.
11. Евразийский экономический союз / Под ред. ред. Е.Ю. Винокурова. Центр интеграционных исследований. СПб., 2017. С. 163.

12. И.Г.Калабеков, Россия, Китай и США в цифрах, 2008 – 2018
13. Инвестиции как источник экономического роста Аналитический доклад Москва | 2019 Авторы: И.А. Николаев, доктор экономических наук Т.Е. Марченко О.С. Точилкина
14. Исследование по вопросам транспортировки и экспорта российской нефти. Вашингтон: ПланЭкон, 1997
15. Кияев П. В. Анализ внешней торговли России и США в условиях действия экономических и политических санкций // Современная экономика: актуальные вопросы, достижения и инновации. — Пенза, 2017. — С.181-183.
16. Нефтегазовый комплекс России – 2018. Часть 1. Нефтяная промышленность – 2018: долгосрочные тенденции и современное состояние // И.В. Филимонова, В.Ю. Немов, И.В. Проворная и др. / под ред. А.Э. Конторовича; Ин-т нефтегазовой геологии и геофизики им. А.А. Трофимука СО РАН. – Новосибирск: ИНГГ СО РАН, 2019..
17. Нефтегазовый комплекс России - 2016. Часть 1. Нефтяная промышленность: долгосрочные тенденции и современное состояние // Л.В. Эдер, И.В. Филимонова, В.Ю. Немов, И.В. Проворная, М.В. Мишенин, А.В. Комарова и др. / под ред. А.Э. Конторовича. – Новосибирск: ИНГГ СО РАН, 2017.
18. Основные положения Энергетической стратегии России на период до 2020 года (Проект). М.: ГУ ИЭС. 2000.
19. Отчет о внешней торговле между Россией и США в 2016 году: товарооборот, экспорт, импорт, структура, товары, динамика [Электронный ресурс]. — Режим доступа: http://russian-trade.com/reports-and-reviews/2017-02/torgovlya-mezhdu-rossiey-i-ssha-v-2016-g/
20. Официальный сайт Европейской комиссии. URL: http://europa.eu/rapid/press-release_ MEMO-16-3605_en.htm
21. Официальный сайт ФТС.URL: http://www.customs.ru/index.php?option=com_content&view=article&id=26274:2018-02-12-11-28-37&catid=40:2011-01-24-15-02-45&Itemid=2094&Itemid=1835

22. Перспективы сотрудничества России и Китая. Аналитическая записка. Подготовлена Центром исследований восточной Азии и ШОС (в.н.с. А.В. Иванов). Москва июнь 2013
23. РОССИЙСКАЯ ЭКОНОМИКА 2 НАСТОЯЩЕЕ И ПЕРСПЕКТИВЫ ПОСЛЕ РЕФОРМ КУРС ЛЕКЦИЙ Под редакцией Е.Г. ЯСИНА; 2019
24. Российская экономика в 2016 г. Тенденции и перспективы. Изд-во Института Гайдара.М., 2017. Вып. 38. С. 330, 357–360.
25. Российская экономика: умеренное продвижение вперед ; Доклад об экономике России 39 ; World Bank
26. Российско-американское сотрудничество и противоборство. Значение для национальной безопасности России под ред. д.и.н., академика РАН С.М. Рогова 2017
27. Токманцева, А.М. Российско-китайские отношения на современном этапе [Электронный ресурс] / А.М. Токманцева. – Режим доступа: http://journals.urfu.ru/index.php/Izvestia3/article/view/450.
28. Boskin Michael J. The World economy in 2018 // Project Syndicate. 2017. 21 Dec. https://www.project-syndicate.org/commentary/world-economy-2018-predictions-bymichael-boskin-2017-12
29. Dervis Kemal, Qureshi Zia. The danger in today's good economic news // Project Syndicate. 2018. 11 Jan. https://www.project-syndicate.org/commentary/economic-growth-forecastsoptimism-inequality-by-kemal-dervis-and-zia-qureshi-2018-01
30. How Russia's Pipeline Politics Holds the EU Hostage. https://www.thebalance.com/russian-economy-3306352
31. Russian Economy [Text] : lecture course : in 2 books / National Research University Higher School of Economics. — Moscow : HSE Publishing House, 2019. — 600 copies. — ISBN 978-5-7598-1949-3 (hardcover).
32. The Post-Reform Present and Perspectives / ed. by E. G. Yasin. — 528 pp. — ISBN 978-5-7598-1950-9 (book 2). — ISBN 978-5-7598-1888-5 (e-book)

33. The Russia and Eurasia Program offers analysis of rapid economic change in Russia and the consequences for U.S. policy. https://www.csis.org/programs/russia-and-eurasia-program/archives/economic-change-russia